საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 10 ნოემბერი. 2023 წ. №126 (9658) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge

ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ფუაღრისიბაგზე ფსაძაგლესია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მილოცვა ქართველ მეცნიერებს, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას

2001 წლიდან ყოველ 10 ნოემბერს UNESCO-ს ეგიდით, მსოფლიო მასშტაბით აღინიშნება მეცნიერების საერთაშორისო დღე მშვიდობისა და განვითარებისთვის. ეს დღე დაარსდა მეცნიერთა მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც ასევე „იუნესკოს“ ეგიდით ჩატარდა ბუდაპეშტში, უნგრეთში, 1999 წელს მეცნიერების საერთაშორისო კავშირის მიერ. მას შემდეგ საქართველო ყოველწლიურად უერთდება მსოფლიო ინიციატივას.

თარიღის დაწესება მიზნად ისახავს საზოგადოებაში მეცნიერთა როლის გაძლიერებას, ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი მნიშვნელობის ხაზგასმას, ინოვაციური სამეცნიერო მიღწევების შესახებ მოქალაქეების ინფორმირებას და ახალ სამეცნიერო საკითხთა განხილვაში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობას.

2001 წლიდან, UNESCO-ს მიერ მსოფლიო მეცნიერების დღის გამოცხადების შემდეგ, განხორციელდა მრავალი ახალი პროექტი და პროგრამა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, როგორც საქართველოში წარმოებული მეცნიერული კვლევების კოორდინატორი და საქართველოს მთავრობის სამეცნიერო მრჩეველი, ყოველწლიურად აღნიშნავს ამ დღეს და ამასთან დაკავშირებით, ტრადიციულად, დამსახურებულ მეცნიერებს აჯილდოებს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობის აკადემიური პრემიით.

ვულოცავ დღევანდელ დაჯილდოებულებს, ყველა ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას პროფესიულ დღეს და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ვუსურვებ.

პატივისცემით,
ირაკლი ღარიბაშვილი
თბილისი, 10 ნოემბერი 2023 წ.

ფული ვის არ გააგიჟებს!..

ვინ გადასცა საქართველომ ამერიკას?!

70 მილიონი „კრიპტოვალუტის პირამიდაში“

„ქართული ოცნების“ მართლაც საოცნებო გამარჯვება!

მტერსაც კი უხარია, ოპოზიციას კი – არა!



იხ. 3 გვ.

ნუგზარ ფოფხაძე:



იხ. 4 გვ.

იწყება წინასაარჩევნო კამპანია...

მავანთა გამოსაფხიზლებლად!

„იმერული ესკიზები“... რუსულად

„ოკვდა და ჩაანაცვლეს“!

როგორ გაჩნდა ხმები პუტინსა და მის ორეულებზე?

ელისეს სასახლეში საფრანგეთისა და საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთის პრეზიდენტს, ემანუელ მაკრონს შეხვდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაურს საფრანგეთის პრეზიდენტმა ელისეს სასახლეში უმასპინძლა. მათივე ცნობით, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ევროკომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაცია მისცეს ევროპულ საბჭოს.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ევროკომისიის ეს გადაწყვეტილება ისტორიულია. საქართველო დეკემბერში კანდიდატის სტატუსის მოლოდინშია, რაც ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალს განსაზღვრავს. ირაკლი ღარიბაშვილმა ემანუელ მაკრონს ამ გზაზე თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა, ხაზი გაუსვა საფრანგეთის, როგორც ევროკავშირის წამყვანი ქვეყნის, პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის მნიშვნელობას და იმედი გამოთქვა, რომ ეს კიდევ უფრო გაძლიერდება, რაც დაეხმარება საქართველოს, წარმატებით გადავიდეს გაწევრიანების შემდგომ ეტაპებზე.

ირაკლი ღარიბაშვილმა ემანუელ მაკრონს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს ევროპული მომავლის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და საქართველოში მიიწვია.

ირაკლი ღარიბაშვილი:

ეს არის ევროკომისიის ისტორიული გადაწყვეტილება!

დიახ, ეს არის ევროკომისიის ისტორიული გადაწყვეტილება. მინდა, პირველ რიგში, მადლობა გადავუხადო ევროკომისიის პრეზიდენტს – ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ასევე ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის, რომელიც არის ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 8 ნოემბერს მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„ჩემთვის დიდი პატივია, მოგილოცოთ დღევანდელი ისტორიული გადაწყვეტილება. ევროკომისია დადებითად აფასებს მიღწეულ შედეგს და ევროპულ საბჭოს აძლევს რეკომენდაციას, საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი. ეს, რა თქმა უნდა, არის ისტორიული დღე, ევროკომისიის ისტორიული გადაწყვეტილება. მე მინდა, პირველ რიგში, მადლობა გადავუხადო ევროკომისიის პრეზიდენტს – ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ასევე ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის, რომელიც არის ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი“, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა მმართველ გუნდს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ დღევანდელი დღე გუნდის თითოეული წევრის დამსახურებაა. პრემიერის თქმით, სამთავრობო გუნდი ბოლო ერთი წლის განმავლობაში, 24 საათის რეჟიმში, მუშაობდა 12 რეკომენდაციის შესრულებაზე.

„ეს პერიოდი იყო ძალიან დატვირთული. საკმაოდ დატვირთული ემოციური თვალსაზრისითაც, ვინაიდან, ჩვენ მოგეხსენებათ, რომ უზარმაზარი სამუშაო გავწიეთ. მე მინდა, ჩვენს ერთიან, ძლიერ გუნდს გადავუხადო მადლობა, საქართველოს პარლამენტს, ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ჩვენი პარტიის თავმჯდომარეს, ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, ვინაიდან ეს იყო ჩვენი საერთო მუშაობის შედეგი. ჩვენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, 24 საათის განმავლობაში, ვმუშაობდით 12 რეკომენდაციის შესრულებაზე. დღეს ვიხილეთ ანგარიში, რომელიც არის ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ პოზიტიური, დადებითი და ეს გადაწყვეტილება ეფუძნება მიღწეულ შედეგს. მე ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ შარლ მიშელს, რომელიც მხარს უჭერდა და უჭერს, რომ საქართველოს მიეღო კანდიდატის სტატუსი. რა თქმა უნდა, მე მინდა ასევე მადლობა გადავუხადო ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს – ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, ერთი თვის წინ მქონდა ჩვენს ამერიკელ მეგობრებთან გარდამტეხი და გადამწყვეტი შეხვედრები, შეიძლება ასე ითქვას. მინდა გამოვყო შეხვედრა ბატონ სალივანთან და პირადად მას გადავუხადო მადლობა, ვინაიდან, კარგად ვიცით, რომ ბატონი სალივანის და ამერიკის მთავრობის სურვილი მხარდაჭერა იყო და არის დიდი მნიშვნელობის. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს, რომელთანაც მქონდა საკმაოდ შინაარსიანი და გადამწყვეტი მნიშვნელობის შეხვედრა ესპანეთში“, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერმა მიულოცა საქართველოს თითოეულ მოქალაქეს და ხაზი გაუსვა, რომ ეს აღიარება, ღირსეული გადაწყვეტილება ეკუთვნის ხალხს.

„განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, თუ რაიმე დაზუსტება იყო საჭირო, ჩვენმა გუნდმა ერთიანად მოვახერხეთ და ძალიან მოკლე პერიოდში დავხურეთ თითქმის ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც იქნა მოცემული ჩვენი ევროპელი პარტნიორების მხრიდან. ასე რომ, კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, ჩვენს ხალხს, პირველ რიგში, ვინაიდან ეს გამარჯვება და ეს აღიარება, ეს ღირსეული გადაწყვეტილება, მე ასე ვიტყოდი, ეკუთვნის ჩვენს ხალხს, რომელსაც ჩვენი მთავრობა და ჩვენი ხელისუფლება წარმოადგენს. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს გუნდს, საჯარო მოხელეებს, მთავრობას, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჩვენს დიპლომატებს, კიდევ ერთხელ ჩვენს პარლამენტს, ვინაიდან 100-ზე მეტი დოკუმენტი იქნა მიღებული, შექმნილი და უზარმაზარი სამუშაო, უდავოდ უნდა ითქვას, გასწია მთელმა გუნდმა“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, წინააღმდეგობისა, საბოტაჟისა თუ პროვოკაციებისა და არაერთი დესტრუქციული ქმედებებისა, შიდა თუ გარე მტრების ერთობლივი, კოორდინირებული მოქმედებებისა, გაიმარჯვა სიმართლემ.

„რა თქმა უნდა, ახლა ჩვენ გავაგრძელებთ მუდმივ დიალოგს ისე, როგორც ვაგრძელებდით მანამდეც ჩვენს ევროპელ კოლეგებთან. მჯიდრო კოორდინაცია გვექნება ჩვენს ევროპელ მეგობრებთან და აქვე მინდა აღვნიშნო, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, უამრავი წინააღმდეგობისა, საბოტაჟისა თუ პროვოკაციებისა და არაერთი დესტრუქციული ქმედებებისა, შიდა თუ გარე მტრების ერთობლივი, კოორდინირებული მოქმედებებისა, ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენმა ქვეყანამ გაიმარჯვა დღეს, ჩვენმა ხალხმა გაიმარჯვა, გაიმარჯვა ჩვენმა სიმართლემ და კიდევ ერთხელ მე გულითადად გილოცავთ ყველას დღევანდელ აღიარებას“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, დღევანდელი დღე არის დამაგვირგვინებელი და შემაჯამებელი მმართველი გუნდის 11-წლიანი საქმიანობისა.

„რაც მთავარია, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ, გახსოვთ კარგად, შარშან საკმაოდ გულდაწყვეტილი ვიყავით, ვინაიდან საქართველომ ვერ მიიღო მაშინ კანდიდატის სტატუსი. ეს იყო ჩვენთვის ერთგვარი დამბრკოლებელი და, შეიძლება ასე ითქვას, გულდასაწყვეტი ფაქტი, თუმცა დღეს ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, მივიღეთ დამსახურებულად დღევანდელი დღე. მჯერა, რომ ჩვენი ქვეყანა დეკემბერში მიიღებს კანდიდატის სტატუსს და საბოლოოდ გაფორმდება დღევანდელი გადაწყვეტილება. შეიძლება ითქვას, რომ სხვა რეალობაში აღმოჩნდება ჩვენი ქვეყანა. ეს არის უდავოდ ძალიან ძლიერი წინგადადგმული ნაბიჯი ევროინტეგრაციის გზაზე.

მინდა ერთგვარი შეჯამება გავაკეთო ჩვენი გუნდის მიერ მიღწეული შედეგებისა. დღევანდელი დღე, შეიძლება ასე ვთქვათ, არის ერთგვარი დამაგვირგვინებელი და შემაჯამებელი ჩვენი 11-წლიანი საქმიანობისა, რომელმაც მოიტანა მშვიდობა, სტაბილურობა, ის დიდი ტრანსფორმაცია და ცვლილება, შეიძლება ასე ითქვას, ევროპეიზაციის 10 წელი, შეიძლება ასე ვუწოდოთ ამ მშვიდობიან 10-წლიან პერიოდს, ვინაიდან თუ ვინმემ, რომელიმე ხელისუფალმა და მმართველმა, რაიმე გააკეთა ხელშესახები ევროინტეგრაციის გზაზე, ეს არის „ქართული ოცნება“.

ეს არის ასოცირების შეთანხმება, შეგახსენებთ, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი, ევროპული პერსპექტივა, რომელიც შარშან მივიღეთ და ახლა უკვე კანდიდატის სტატუსი, რომელიც დეკემბერში საბოლოოდ, მე მჯერა, გაფორმდება. ეს არის მოკლედ შეჯამება ჩვენი მუშაობის, მმართველობის. ქვეყანამ, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, ბოლო 11 წელიწადში მიაღწია უპრეცედენტო მშვიდობას, სტაბილურობას, მიუხედავად არნახული გამოწვევებისა და გართულებული უსაფრთხოების გარემოსი ჩვენს რეგიონში“, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, შეუძლებელი იქნებოდა ამის მიღწევა, ბიძინა ივანიშვილს და მთლიანად მის გუნდს – „ქართულ ოცნებას“ რომ ისტორიული ცვლილება არ მოეხდინა.

კიდევ ერთხელ მინდა მკაფიოდ განვაცხადო მთავრობის სახელით და ჩვენი გუნდის სახელით, გავაგრძელებთ კოორდინაციას ჩვენს ევროპელ მეგობრებთან. ეს, რა თქმა უნდა, არის ჩვენთვის ძალიან წამახალისებელი, შეიძლება ასე ითქვას, და ჩვენ მოხარული ვართ, რომ ევროკომისიამ შეაფასა და მიიღო ერთადერთი სწორი, ღირსეული, გონივრული და ბრძნული გადაწყვეტილება, რომ გასცა დადებითი რეკომენდაცია სტატუსთან დაკავშირებით.

ჩვენი საბოლოო მიზანი, ბუნებრივია, არის ქვეყნის სრული ინტეგრაცია ევროკავშირში, წევრობა, რასაც, რა თქმა უნდა, სჭირდება გაცილებით უფრო მეტი ძალისხმევა. ეს არის ხანგრძლივი პროცესი, რაც არ დასრულდება 1 და 2 წელში, ეს არის მრავალწლიანი პროცესი, რომელსაც ჩვენი ხალხის კონსოლიდაცია სჭირდება და ჩვენი მთავრობის, მთლიანად ხელისუფლების, ეფექტიანი მმართველობა და იმ რეფორმების გაგრძელება, რომელსაც ჩვენ ბოლო 11 წელია, ვახორციელებთ ქვეყანაში. ეს საბოლოო ჯამში მიგვიყვანს ქვეყნის სრულ ევროპეიზაციამდე!

მთავრობის ადმინისტრაციის
პრესსამსახური
2023 წლის 8 ნოემბერი

საქართველომ „კორუფციის დაბალი დონის“ სტატუსი მიიღო და რეგიონში ლიდერია

სოფლიოს მოწინავე ანალიტიკურმა ცენტრმა, შვეიცარიულმა ორგანიზაციამ – Global Risk Profile (GRP) „გლობალური კორუფციის ინდექსი 2023“ გამოაქვეყნა, – ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, რეიტინგში საქართველო ორი ადგილით დაწინაურდა, მსოფლიოს 196 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის საუკეთესო 25%-ში მოხვდა და მსოფლიოში 43-ე ადგილი დაიკავა.

„შავიზღვისპირეთში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში კი პირველი ადგილი მიიღო – სტატუსით „კორუფციის დაბალი დონე“. საქართველო აღნიშნულ რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც „კორუფციის დაბალი დონის“ სტატუსი აქვს.

კორუფციისაგან თავისუფლებით საქართველომ გაუსწრო ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ყველა ქვეყანას, ევროკავშირის და ნატოს წევრ რვა სახელმწიფოს. პსშ-ის გამოსათვლელად განიხილება ექვსი ინდიკატორი, რომელთაგან ოთხი ორიენტირებულია კორუფციაზე, ხოლო ორი ფინანსურ დანაშაულზე“, – აღნიშნულია საქართველოს მთავრობის ინფორმაციაში.

გურამ მაჭარაშვილი:

„ნაციონალური მოძრაობა“ ისე დაიშალა, ელიავაზე თუ ჩაიბარებენ...

ვხედავთ, რომ პატიმარი სააკაშვილი რეალობაში ვერ ცხოვრობს და რაღაც ილუზიები აქვს, – ამის შესახებ „ხალხის ძალის“ წევრმა, **გურამ მაჭარაშვილმა** განაცხადა.

„ნაციონალური მოძრაობა“ ისე დაიშალა, რომ მას ელიავაზე თუ ჩაიბარებენ და სააკაშვილს მისსავე დაფუძნებული პარტიისთვის თანხებს ნაწილ-ნაწილ მისცემენ. ვხედავთ, რომ პატიმარი სააკაშვილი რეალობაში ვერ ცხოვრობს და რაღაც ილუზიები აქვს.

ახლა „ვარდების რევოლუცია“ გაახსენდა, მანამდე ქართულ პოლიტიკაში მოსვლა დააანონსა, სულ მანამდე თავის თავს მხოლოდ უკრაინაში ხედავდა.

შემდეგ პოზიცია შეცვალა და ისევ რადიკალიზმს დაუბრუნდა. ამ მანიფესტაც ისეთივე ბედი აქვს, როგორიც იმ წინაპირობებს ჰქონდა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ გაერთიანებაზე წამოაყენა“, – განაცხადა **მაჭარაშვილმა.**

ბექა ოდიშარია:

ჩვენზე უტიფარი ოპოზიცია არავის არ ჰყავს!..

2020 წელს ჩვენ როდესაც დავაანონსეთ, რომ აუცილებლად დავწერდით განაცხადს და გავხდებოდით ევროკავშირის სრულფასოვანი წევრები, მაშინ ოპოზიციიდან მხოლოდ დაცინვა და ქილიკი გვესმოდა. დღესაც იგივე ხდება. მგონი, ჩვენზე უტიფარი ოპოზიცია არავის ჰყავს, – ამის შესახებ დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, **ბექა ოდიშარიამ** აჭარის ტელევიზიის ეთერში განაცხადა.

ბექა ოდიშარიას თქმით, ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ახალ ნარატივს ქმნის, თითქოს, „ქართულ ოცნებას“ ეწყინა კანდიდატის სტატუსზე რეკომენდაციის გაცემა.

მისივე განცხადებით, ოპოზიცია ხელისუფლებას არ აცდიდა სტატუსის მისაღებად მუშაობას, ახლა კი, როდესაც შედეგი მიღწეულია, ოპოზიცია ცდილობს, ეს გამარჯვება საკუთარ თავზე მიიწეროს.

„მთელი წელი, პრაქტიკულად, გვბომბავდნენ ხელისუფლებას და ხალხს და ამკვიდრებდნენ ამ სულელურ ნარატივს, ვითომ ხალხი და ხელისუფლება სხვადასხვაა. კონსტიტუცია მაინც წაიკითხონ. მესამე მუხლში წერია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების წყარო არის ხალხი და ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს თავის წარმომადგენლებით.

ჩვენ ვართ ხალხის წარმომადგენლები. ოპოზიციამ რაც ჩაატარა მთელი წლის განმავლობაში, მგონი, ასე არ უმტრია ჩვენი ქვეყნისთვის არავის. დღეს დადგნენ „კაპიტანი“ გიგაური და სალომე სამადაშვილი და თქვეს, რომ ჩვენი მონაპოვარი არისო, ვულოცავ მათაც, მაგრამ ხალხს ალბათ სასაცილოდაც არ ჰყოფნის“, – განაცხადა **ბექა ოდიშარიამ.**

ევროკომისიის რეკომენდაციაა, საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი 9 დათქმით მიენიჭოს!

ევროკომისიის რეკომენდაციაა, საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი 9 დათქმით მიენიჭოს. ამის შესახებ ევროკავშირის გაფართოების შესახებ ევროკომისიის ყოველწლიური ანგარიშშია ნათქვამი.

ევროკომისიის 9 პირობიდან, ზოგიერთი 2022 წლის ივნისში ევროკომისიის მიერ გაცემულ 12 რეკომენდაციას აგრძელებს, ზოგიერთი კი სრულიად ახალია. ახალია დათქმა ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ დეზინფორმაციასთან და უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებთან ბრძოლაზე. ევროკომისია ასევე ყურადღებას ამახვილებს საჭიროებაზე, რომ საქართველომ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირისას დაუახლოოს. ამუამად ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს თანხვედრის მაჩვენებელი დაახლოებით 43%-ია.

ევროკომისიის 9 დათქმა ასეთია:

- **ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ დეზინფორმაციასთან, უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებთან და (უცხოურ) ჩარევასთან ბრძოლა;**
- **ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს საგარეო პოლიტიკის თანხვედრის მაჩვენებლის გაუმჯობესება;**
- **პოლიტიკური პოლარიზაციის წინააღმდეგ დამატებით ბრძოლა, მათ შორის – პარლამენტში ოპოზიციურ პარტიებთან უფრო ინკლუზიურად მუშაობის გზით, განსაკუთრებით საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე;**
- **თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა – განსაკუთრებით 2024 წელს – და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება. საარჩევნო რეფორმების დასრულება, მათ შორის ამომრჩეველთა ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე;**
- **საპარლამენტო ზედამხედველობის შემდგომი გაუმჯობესება, განსაკუთრებით უსაფრთხოების სამსახურებზე. საკვანძო ინსტიტუტების, განსაკუთრებით საარჩევნო ადმინისტრაციის, ეროვნული ბანკისა და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა;**
- **ყოვლისმომცველი და ეფექტური სასამართლო რეფორმის დასრულება და განხორციელება, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პროკურატურის ყოვლისმომცველი რეფორმის განხორციელება, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულად შესრულება გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის გზით;**
- **ანტიკორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ეფექტურობისა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. ამ ორგანოებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინება. კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევების ეფექტური გამოძიების ძლიერი გამოცდილების დაგროვება;**
- **დეოლიგარქიზაციის შესახებ არსებული სამოქმედო გეგმის გაუმჯობესება, რათა დეოლიგარქიზაცია განხორციელდეს მრავალსექტორული, სისტემური მიდგომით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად და გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის შედეგად, ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით;**
- **ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება, მათ შორის, ადამიანის უფლებების ამბიციური სტრატეგიის მიღებითა და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფით. მოწყვლადი ჯგუფების, მედიაპროფესიონალებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ მუქარის ფაქტებზე მიუკერძოებელი, ეფექტური და დროული გამოძიების დაწყება და ძალადობის ორგანიზატორებისა და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა. სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა კანონშემოქმედებით და პოლიტიკის შემუშავების პროცესში და მათი თავისუფლად მუშაობის უზრუნველყოფა.**

* * *

ევროპული საბჭო საქართველოსთვის სტატუსის მინიჭებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას დეკემბერში მიიღებს.

რაც შეეხება უკრაინასა და მოლდოვას, ევროკომისის რეკომენდაციაა, ეს ქვეყნები განევრიანების მოლაპარაკებების გახსნის ეტაპზე გადავიდნენ. ეს კანდიდატის სტატუსის მომდევნო ნაბიჯია ევროკავშირში განევრიანებამდე.

ცნობისთვის: 2022 წელს ევროკავშირმა უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, საქართველოს კი ევროპული პერსპექტივა მიანიჭა და კანდიდატის სტატუსის მისაღებად 12-პუნქტიანი წინაპირობა დაუწესა.

აღსანიშნავია, რომ ბლოკში გაერთიანებისკენ ამ დროისთვის 10 ქვეყანა ისწრაფვის. ეს ქვეყნებია: საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კოსოვო, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, სერბეთი და თურქეთი. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი შემდეგ 8 ქვეყანას აქვს მინიჭებული: უკრაინას, მოლდოვას, ალბანეთს, ბოსნია და ჰერცეგოვინას, მონტენეგროს, ჩრდილოეთ მაკედონიას, სერბეთსა და თურქეთს.

მტერსაც კი უხარია, ოპოზიციას კი – არა!

ევროკომისიის რეკომენდაციებს ეკუთვნის საზოგადოებას, რომელიც ირჩევს ევროპულ ხელისუფლებას!!!

სალომე ზურაბიშვილი გასულია კონსტიტუციური სფეროდან, თუ ის პარიზში წავა, ამით დაირღვევა **საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის დარღვევაც კიდევ სხვა პასუხისმგებლობას იწვევს,** – ამის შესახებ „ხალხის ძალის“ წევრმა, **გურამ მაჭარაშვილმა** განაცხადა.

როგორც გურამ მაჭარაშვილმა აღნიშნა, პრეზიდენტს სტატუსზე პოზიტიურმა გადაწყვეტილებამაც არაფერი ასწავლა, რადგან პარიზში ისევ თანხმობის გარეშე მიდის და ისევ დაარღვევს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და კონსტიტუციას.

„ეს იმას ნიშნავს, რომ ის არ არის ევროპელი, ევროპული ღირებულების მატარებელი. ევროკომისიის გადაწყვეტილება ეკუთვნის ქართულ საზოგადოებას, რომელიც ევროპას და ევროპულ ხელისუფლებას ირჩევს. ახლა ზურაბიშვილს თუ უნდა, კონტეინერით იაროს და უნდა, პირადი მანქანით. მას ეს არაფერში აღარ ჩაეთვლება. სალომე ზურაბიშვილი გასულია კონსტიტუციური სფეროდან და თუ ის პარიზში წავა, ამით დაირღვევა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის დარღვევაც კიდევ სხვა პასუხისმგებლობას იწვევს. კონსტიტუციაში წერია, ყველა ვალდებულია, სასამართლოს გადაწყვეტილება შეასრულოს“, – განაცხადა მაჭარაშვილმა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს საფრანგეთში ვიზიტთან დაკავშირებით მთავრობისთვის არ მიუმართავს.

სალომე ზურაბიშვილმა ორშელიანის სასახლესთან სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ 9 ნოემბერს მიემგზავრება პარიზში, სადაც ტარდება მშვიდობის ფორუმი და რომელსაც პრემიერი დაესწრება. ზურაბიშვილის თქმით, „ნებსით თუ უნებლიეთ გამოგვივა დეპოლარიზაციის მაგალითის მიცემა“.

ეკა სეფაშვილი: კონსტიტუციის დარღვევ პრეზიდენტთან თანამშრომლობა ვერ წარმომიდგენია!..

მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრის **ეკა სეფაშვილის** განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი კონსტიტუციის დარღვევით ვიზიტების განხორციელებას აგრძელებს და ცდილობს, ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს წარმატება საკუთარ თავზე მიიწეროს.

„პრეზიდენტი ისევ აგრძელებს კონსტიტუციის დარღვევით ვიზიტებს, მან განახორციელა ვიზიტი, რომელიც არ იყო შეთანხმებული მთავრობასთან. ეს არის მისი სასოწარკვეთილი მცდელობა, რომ მიიწეროს საქართველოს დამსახურება კანდიდატობის სტატუსის მონიჭების შესახებ და საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის გაგზავნოს მესიჯი, რომ სწორედ ის არის პირი, რომელმაც უზრუნველყო საქართველოსთვის სტატუსის მინიჭება.

ძალიან ცოტა მეგულება საქართველოში ადამიანი, ვისაც ამის სჯერა, თუმცა პრეზიდენტი აგრძელებს დესტრუქციულ მოქმედებებს.

ვფიქრობ, მხოლოდ და მხოლოდ ხელს უწყობს პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინებას და უპატივცემულობის გაზრდას საზოგადოების მხრიდან, რადგან პრეზიდენტი უნდა იყოს პირი, ვინც ხელს უნდა უწყობდეს დეპოლარიზაციას, ვინც პირველ რიგში, პატივს სცემდეს კონსტიტუციას და კანონის უზენაესობას. ყველაფერ ამას პრეზიდენტი აკეთებს პირიქით. ჩემთვის გაუგებარია მისი მოქმედების მიზანი, გარდა იმისა, რომ ხალხის გარკვეულ ნაწილს, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერა მისი ნათქვამის, დაანახოს, თითქოს ის რამენაირად მონაწილეობს სტატუსის მიღებაში“, – განაცხადა ეკა სეფაშვილმა.

ეკა სეფაშვილი ამბობს, რომ სალომე ზურაბიშვილის მოქმედებებიდან გამომდინარე, მასთან სამომავლოდ კონსტრუქციული თანამშრომლობა რთულად წარმოუდგენია.

„ჩვენ პრეზიდენტს მოვუწყვეთ იმპიჩმენტი, უმრავლესობამ მას გამოუცხადა იმპიჩმენტი. ანუ, მას ჩვენი მხრიდან უკვე ნდობა აღარ აქვს. ასე რომ, ძალიან რთულად წარმომიდგენია, რანაირად უნდა იყოს ჩართული იგი სახელმწიფოს შემდგომ საქმიანობაში ან რა ტიპის კონსტრუქციული ნაბიჯების გადადგმა შეუძლია, როცა ჩვენ გასული წლის განმავლობაში დავრწმუნდით მის დესტრუქციულ ქმედებაში და იმაში, როგორ მავნებლობს საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინააღმდეგ. მისი განცხადებები, კონსტიტუციის დარღვევა, ყველაფერი არის ამის ნათელი დადასტურება.

ამიტომ ძალიან რთულად წარმომიდგენია შემდგომში თანამშრომლობის გაგრძელება კონსტრუქციულად, თუმცა თუ იგი შეინარჩუნებს იმ პირობებს, რომ არ დაარღვიოს კონსტიტუცია და იმოქმედოს მკაცრად კონსტიტუციის ფარგლებში, ალბათ იქნება სივრცე, რათა რაღაც ტიპის თანამშრომლობა იყოს.

მისი დღევანდელი ვიზიტი ცხადყოფს, რომ არ აპირებს, დაიცვას კანონის უზენაესობა და ქვეყნის ინტერესებით იმოქმედოს“, – აღნიშნა ეკა სეფაშვილმა.



ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ...

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ, ᲧᲘᲥᲘᲜᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲔᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲐ... ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲗᲣ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲐᲪ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲑᲔᲜᲐ-ᲒᲐᲓᲛᲝᲠᲑᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲜᲘ ᲒᲐᲕᲛᲮᲓᲐᲠᲕᲐᲠᲗ. ᲔᲡ ᲠᲑᲘᲚᲐᲓ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲘᲡᲢᲐᲓ, ᲐᲡᲔᲗ ᲜᲐᲑᲘᲯᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ... ᲓᲐᲚᲐᲢᲘ.

ᲛᲝᲓᲐᲚᲐᲢᲔᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ „ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲬᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ“ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲮᲡᲜᲘᲐᲜ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ „ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲝᲑᲐᲡ“ ᲘᲓᲔᲣᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲮᲡᲜᲘᲐᲜ. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲗ ᲣᲡᲛᲔᲜ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲙᲐᲕᲔᲑᲐ ᲒᲘᲭᲘᲠᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠ ᲐᲓᲐᲛᲘᲜᲡ. ᲘᲜᲨᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲡ ᲮᲝᲛ ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲘ ᲛᲝᲒᲑᲘᲜᲓᲔᲑᲐ... ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲐᲛᲝᲛᲘᲒᲓᲝ ᲓᲐ ᲓᲘᲚᲐ ᲐᲡᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲕᲒᲝᲜᲔᲑ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲐ ᲓᲠᲝᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲞᲠᲘᲐᲜᲘᲪ ᲘᲧᲝᲡ... ᲜᲐᲮᲔᲗ, ᲔᲒᲔᲑ ᲗᲥᲕᲔᲜᲪ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲜᲔᲑᲬᲧᲝᲗ.

ᲠᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔ, ᲐᲜ ᲠᲐ ᲒᲐᲕᲐᲤᲣᲭᲔ?!

1951 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ, ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ, ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲗ, ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲔᲬᲕᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ...

ᲛᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲒᲐᲣᲦᲔᲠᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲓᲔᲢᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲘᲚᲐ ᲛᲔᲛᲣᲐᲠᲣᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ.

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚ ᲫᲕᲔᲚ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲡ, ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲔᲑᲘᲡ (ᲨᲔᲛᲓᲒᲛᲐ, ᲝᲠᲗᲝᲥᲛᲐᲕᲐᲚ-ᲕᲐᲒᲝᲜᲨᲔᲛᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ) ᲛᲣᲨᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲔᲚᲐᲓᲛᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲗᲑᲝᲗᲘ ᲛᲝᲘᲒᲝᲜᲐ. ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲡ ᲛᲐᲜ ᲘᲙᲘᲗᲮᲐ, ᲗᲣ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲛᲝᲑᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲙᲐᲪᲡᲝ...

ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔᲗᲐᲒᲐᲜ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲡᲪᲐ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲛ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ...

ᲓᲘᲚᲘᲗ, ᲡᲐᲣᲖᲛᲘᲡᲘᲡᲐ ᲑᲔᲚᲐᲓᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲠᲫᲝᲚᲡ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲫᲛᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲮᲐᲜᲐᲓ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲮᲐᲠᲐᲢᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲨᲣᲠᲐ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲐᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ, ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ ᲙᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲗᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲔᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲘᲕᲐᲓ ᲘᲥᲜᲐ ᲐᲦᲥᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ...

ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲕᲚᲐᲪ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲘᲫᲚᲔᲝᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲑᲐᲖᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲡᲐᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲝᲗᲝᲓ ᲛᲝᲕᲚᲔᲚᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲗᲑᲝᲗᲘ ᲛᲝᲘᲒᲝᲜᲐ. ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲡ ᲛᲐᲜ ᲘᲙᲘᲗᲮᲐ, ᲗᲣ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲛᲝᲑᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲙᲐᲪᲡᲝ...

ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔᲗᲐᲒᲐᲜ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲡᲪᲐ ᲖᲣᲡᲢᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲛ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘᲐ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲮᲡᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲜᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲢᲝᲠᲘᲝ...

ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲮᲐᲠᲐᲢᲛᲐ ᲓᲐᲛᲣᲜᲯᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲣᲮᲚᲔᲜᲝᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲤᲘᲒᲣᲠᲐ.

ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ ᲓᲠᲝ ᲓᲐᲭᲘᲠᲓᲐ. ᲔᲠᲗ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲔᲡ ᲮᲐᲠᲐᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲐᲓᲐᲪ „ᲐᲙᲣᲠᲗᲮᲔᲡ“.

ᲐᲠ ᲒᲐᲡᲣᲚᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲐᲛᲞᲚᲣᲐᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲗᲕᲔᲪ ᲙᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲔᲚᲐᲓ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲐ. ᲑᲔᲠᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲣᲛᲐᲚ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲐᲜᲣ, ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲠᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲛ ᲗᲕᲔᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲪ ᲓᲐᲮᲕᲠᲘᲢᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ „ᲬᲛᲔᲜᲓᲐᲡ“ ᲑᲔᲠᲘᲐᲡᲔᲣᲚᲘᲪ ᲛᲘᲐᲧᲝᲚᲐ ᲗᲐᲜ.

ᲓᲐ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲮᲐᲠᲐᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲐᲒᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲡ „ᲛᲠᲔᲕᲚᲛᲐ“ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲝ...

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲓᲐᲓᲒᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲨᲠᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲔᲠᲘᲪ.

ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲙᲐᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲮᲐᲠᲐᲢᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲛᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲪᲗᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲡ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: ᲠᲝ�გᲝᲠᲘ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘᲐ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ �გᲮᲡᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲜᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲢᲝᲠᲘᲝ...

ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲮᲐᲠᲐᲢᲛᲐ ᲓᲐᲛᲣᲜᲯᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚ ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲒᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲡᲪᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲮᲡᲜᲘᲗ, ᲐᲛ ᲝᲠ-ᲡᲐᲛ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲠᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔ, ᲐᲜ ᲠᲐ ᲒᲐᲕᲐᲤᲣᲭᲔ!

ᲒᲔᲧᲣᲠᲔᲑᲐᲗ – ᲠᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔ, ᲐᲜ ᲠᲐ ᲒᲐᲕᲐᲤᲣᲭᲔ!!!!!

ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲘ ᲓᲐ... ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲮᲐᲠᲐᲢᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲪᲗᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐᲖᲔ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲛ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲘᲛ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲐ.

ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲝᲗᲐᲮᲘ ᲘᲧᲝ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲓᲒᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲩᲐᲠᲮᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲜᲘᲡᲘ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ“ ᲓᲠᲝᲡ ᲩᲮᲘᲠᲙᲔᲓᲔᲚᲐᲝᲜᲓᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ-ᲠᲐᲦᲐᲪᲔᲑᲡ... ᲐᲛ „ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ“ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲩᲣᲥᲜᲘᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲨᲕᲘᲐᲗ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ...

ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲚᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ (ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ).

ᲠᲐᲛ �გᲐᲛᲐᲮᲡᲔᲜᲐ 73 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ?

ᲠᲐᲛ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ �გᲝᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲛᲝᲢᲘᲕᲢᲘᲕᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ �გᲐᲕᲘᲒᲔ, ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲗᲝᲕᲔᲑᲘᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐᲦᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ.

ᲰᲝᲓᲐ, ᲣᲛᲐᲚ �გᲐᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ – ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲮᲐᲠᲐᲢᲘᲡ, ᲣᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲛᲑᲘᲚᲔᲡᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲜᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲒᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐ: ᲐᲛᲘᲮᲡᲔᲜᲘᲗ, ᲠᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔ ᲐᲜ ᲠᲐ ᲒᲐᲕᲐᲤᲣᲭᲔᲗ?

ᲐᲠᲐ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐᲔᲡᲕᲐ ᲬᲔᲡᲘᲔᲠ, ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲛᲑᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲘᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲞᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲑᲘᲗ, „ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ“(!!!) ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲘᲡ (ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ, ᲛᲔᲠ – ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ Ა.Შ) ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲛᲐᲓᲔ ᲒᲐᲘᲐᲖᲠᲝᲜ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ...

ᲐᲘ, ᲛᲐ�გ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲔᲜ „ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡᲢᲝᲚᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ“ ᲞᲝᲡᲢᲡ, ᲒᲐᲛᲔᲓᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲣᲡᲕᲘ ᲔᲠᲗᲘ „ᲛᲫᲘᲛᲔ“ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ...

ᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ, ᲠᲐ... ᲠᲝᲒᲝᲠᲘ?

ᲓᲐᲕᲔᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘ ᲛᲔᲝᲪᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲒᲣᲛᲑᲔᲠᲐᲖ ᲙᲐᲪᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲗᲔᲛᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲔᲡᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ, ᲔᲠᲗ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲐᲜ 70-ᲬᲚᲝᲕᲐᲜ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡᲐᲪ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑ:

ᲡᲢᲐᲚᲘᲜ-ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲚᲐᲜᲫᲦᲕᲐ-ᲓᲐᲒᲛᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ, ᲪᲔᲙᲐᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ „ᲒᲐᲐᲨᲐᲕᲔᲡ“ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ, ᲓᲔᲓᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲔᲠᲗᲛᲐ „ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ“ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲪᲔᲙᲐᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲥᲪᲘᲘᲗ „ᲒᲐᲫᲕᲠᲐ“ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ, ᲘᲥᲔᲓᲜᲣᲠᲐᲓ, ᲓᲐᲛᲪᲘᲜᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ „ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲡ“: ᲠᲐᲝ, ᲨᲐᲚᲕᲐ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲠ Ა�გᲘᲠᲩᲘᲔᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲐᲓᲐᲠ?

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲡᲐ�გᲝᲜᲐᲓ „ᲮᲣᲠᲓᲐ“ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲐ „ᲮᲣᲛᲐᲠᲐᲡ“: ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘᲐ ᲨᲔᲒᲔᲙᲘᲗᲮᲝᲜ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ Ა�გᲘᲠᲩᲘᲔᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲒᲐᲝᲪᲔᲒᲣᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲙᲘᲗᲮᲝᲜ... ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲒᲘᲠᲩᲘᲔᲡ!!!!

**ᲒᲔᲧᲣᲠᲔᲑᲐᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲝ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲝ: ᲜᲣ ᲒᲐᲐᲪᲔᲗᲝᲗ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲛᲧᲝᲤᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ Გ

როგორ გაჩნდა ხმები პუტინსა და მის ორეულებზე?

რა დაავადებებს მიაწერენ პუტინს?

„მოკვდა და ჩაანაცვლეს“!

რუსეთის პრეზიდენტზე შეთქმულების თეორიები წლეგია ვრცელდება. ზოგი ამტკიცებს, ავადაა და მალე მოკვდებაო, ზოგი კი ამბობს, უკვე მკვდარია და მის ორეულს ვუყურებთო. მსგავს ჭორებს სიმართლისა არაფერი ეტყობა ხოლმე და ამ ტექსტში აგიხსნით, რატომ ჩნდება ისინი.

ვლადიმირ პუტინი გულის შეტევით მოკვდა, ის ორეულით ჩაანაცვლეს, რუსეთს კი უშიშროების საბჭოს მდივანი, ნიკოლაი პატრუშევი მართავს, – დაწერა პოპულარულმა ტელეგრამარხმა ГЕНЕРАЛ СВР („საგარეო დაზვერვის სამსახურის გენერალი“) 26 ოქტომბერს.

მომდევნო დღეებში ეს ისტორია კიდევ უფრო განავრცო და დეტალებით გაამდიდრა.

„პუტინის გვამი მოათავსეს საყინულე კამერაში, პრეზიდენტის ვალდაის რეზიდენციაში. მედიკოსები, რომლებიც პუტინის მკურნალობასა და რეანიმაციაში მონაწილეობდნენ, რეზიდენციის რამდენიმე ოთახში გამოკეტეს“, – დაწერა არხმა 27 ოქტომბერს.

ცნობები პუტინის სიკვდილზე აიტაცეს ბრიტანულმა ტაბლოიდებმა, The Star-მა, Mirror-მა და The Sun-მა. ასევე უკრაინულმა მედიამ.

დაინტერესდნენ რუსებიც. მხოლოდ ექვს დღეში, პრეზიდენტის სიკვდილს რუსულ საძიებო სისტემა „იანდექსში“ 400-ათასჯერ ეძებდნენ.

აუიოტაუს გამოეხმაურა თავად პუტინის პრესსპიკერი დმიტრი პესკოვიც. ცნობებს პუტინის სიკვდილისა და მისი ორეულების შესახებ პესკოვმა „ღიმილის მომგვრელი ჭორი“ უწოდა.

Генерал СВР ტელეგრამარხია, რომელსაც თითქოსდა რუსეთის გარე დაზვერვის ყოფილი ოფიცერი მართავს და რომელიც ამტკიცებს, რომ წყარო ჰყავს პუტინის ახლო გარემოცვაში.

არხს ოდიზიურ რუს პოლიტოლოგთან, ვალერი სოლოვეისთან აკავშირებენ. ის პუტინს დიდი ხანია „კლავს“, თან ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე. მაგრამ არამხოლოდ ის.

ათას ერთი სნეულება

ინტერნეტში ხმები პუტინის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის გაუარესებასა და სიკვდილზე წლეგია დადის. ჯერ კიდევ 2003 წელს სხვადასხვა ფორუმზე წერდნენ, რომ მას კუჭ-ნაწლავის კიბო დაუდგინდა.

2012 წელს, ამერიკული გამოცემა Wall Street Journal-ი ამტკიცებდა, რომ პუტინს ხერხემლის მძიმე დაავადება აქვს და სიარული უჭირს. დმიტრი პესკოვი მაშინაც გამოესარჩლა და თქვა, რომ პრეზიდენტმა უბრალოდ ზურგის კუნთები დაიჭიმა.

2014 წლის ბოლოს, ამერიკული ტაბლოიდი New York Post-ი „პუტინთან დაახლოებულ წყაროებზე“, მათ შორის უსახელო გერმანელ ექიმზე დაყრდნობით წერდა, რომ რუსეთის პრეზიდენტი პანკრეასის კიბოთი იტანჯება და სიკვდილთან ახლოსაა.

იქიდან რამდენიმე თვეში, ასევე ამერიკულმა USA Today-მ პენტაგონის კონტრაქტორი არასამთავრობო ორგანიზაციის 2008 წლის კვლევა გაასაჯაროვა. იქ ეწერა, რომ პუტინს ასპერგერის სინდრომი აქვს, „აუტისტური დარღვევა, რომელიც ყველა მის გადაწყვეტილებაზე აისახება“.

„ასპერგერის სინდრომი“ მოძველებული ტერმინია. დღეს იგი „აუტისტური სპექტრის აშლილობის“ ნაწილია.

გამოცემა The Guardian-მა მაშინ „სისულელე“ უწოდა ფსიქიატრიული დიაგნოზის დისტანციურად დასმას.

პუტინისთვის ლამის ყველაზე ხშირად „დასმული“ დიაგნოზი პარკინსონის დაავადებაა, რომელიც იწვევს კანკალს, კუნთების სპაზმებს და ართულებს მეტყველებას.

2020 წლის ოქტომბერში ტაბლოიდი The Sun-ი ირწმუნებოდა, რომ რუსეთის პრეზიდენტს დაავადება გაუმწვავდა და ის მალე თანამდებობას დატოვებს. „ამაში ოჯახმა დაარწმუნა“, – უთხრა გამოცემას ვალერი სოლოვეიმ.

ეს არასრული ჩამონათვალია. უკრაინაში შეჭრის შემდეგ, „ცნობები“ კიდევ უფრო გახშირდა.

„მეტისმეტად ჯანმრთელი“

2022 წლის ივლისში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) უფროსმა, უილიამ ბერნსმა თქვა, რომ ჭორებს არ სჯერა და, რამდენადაც იცის, „პუტინი მეტისმეტად ჯანმრთელიც კია“.

ასევე წლებია, ინტერნეტში ვრცელდება თეორიები, რომ ავადმყოფ, ან უკვე გარდაცვლილ, პუტინს ორეულები ჰყავს. ეს თეორიები დიდი ხანია მიმებადაც იქცა. უამრავ ხუმრობას ნახავთ იმაზე, რომ პუტინს ცალკე ორეული ჰყავს საჯარო გამოსვლებისთვის, ცალკე ორეული ბანკეტებისთვის, ერთიც – მოხსენებების მოსასმენად.

ბრიტანელ ისტორიკოსს, მარკ გალეოტის რთულად წარმოუდგენია, რომ ვინმეს მართლა შეიძლება ჰყავდეს წყარო პუტინის გარემოცვაში, თან ისეთი, რომელიც წლებია ვერ დაადუმეს.

„პუტინის შიდა წრე ნამდვილი შავი ყუთია. როგორც წესი, ისიც კი არ ვიცით, სად იმყოფება, მის ჯანმრთელობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ“, – ეუბნება გალეოტი ბრიტანულ გამოცემა The Independent-ს.

რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმირ პუტინი ხვდება თავდაცვის მინისტრს სერგეი შოიგუს. 2022 წლის 21 აპრილი. პუტინის პოზამ გააძლიერა ხმები, რომ მან ინსულტი გადაიტანა.

„გულწრფელი სურვილი“

სხვადასხვა შეთქმულების თეორიები პოლიტიკოსებსა და უბრალოდ ცნობილ ადამიანებზე ყოველთვის ვრცელდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთის თანახმად, რეპტილოიდი უცხოპლანეტელები (მაგ. „სპეის-იქსისა“ და „ტესლას“ დამფუძნებელი ილონ მასკი) დედამიწაზე, ჩვენ შორის არიან და პლანეტის მოსახლეობის დამონებას აპირებენ.

კიდევ ერთი კი ამტკიცებს, რომ „ბიტლზის“ ერთ-ერთი წევრი, პოლ მაკარტნი თითქოსდა 1966 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

მაგრამ პუტინის სიცოცხლითა და ჯანმრთელობით ამკარად ჩვეულებრივზე მეტად სპეკულირებენ, ამბობენ ექსპერტები. ზოგის აზრით, მისტიფიკაციები იმით აიხსნება, რომ პუტინის სიკვდილი უბრალოდ ძალიან ბევრ ადამიანს სურს. რუსეთშიც, უკრაინაშიც და დანარჩენ მსოფლიოშიც.

„ეს უამრავი ადამიანის საკმაოდ გულწრფელი სურვილია, აი, ასე, მარტივად გადაჭრან პრობლემა“, – ამბობდა რუსი პოლიტოლოგი **სერგეი გაიდაი** 2022 წლის ივლისში.

კიდევ ერთი რუსი პოლიტოლოგი, ივან პრეობრაჟენსკი კი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, თავად კრემლი ავრცელებს ხოლმე მსგავს ხმებს, რათა მოსახლეობას ცოტა ხნით დაავიწყოს ომი და დიქტატურა.

ამგვარად, ცოტა ხანი „რუსეთის ხსენებაზე ყველა არა დანგრეულ ქალაქებსა და ათასობით დახოცილ ადამიანზე იფიქრებს, არამედ მხოლოდ ერთი რუსი პენსიონერის ჯანმრთელობაზე“.

„კრემლის სტილი“

აზრები იმაზეც იყოფა, ვის თამაშს თამაშობენ ტელეგრამარხი ГЕНЕРАЛ СВР და ვალერი სოლოვეი.

ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის, Chatham House-ის წარმომადგენელი, ჯეიმს ნიქსი ამბობს, რომ „გაურკვევლობის დათესვა კრემლის სტილია“, არხი კი დიდი ხანია რუსეთის ხელისუფლებისთვის სასარგებლო დეზინფორმაციას ავრცელებს.

მაგალითად, ამტკიცებს, რომ კერძო სამხედრო დაჯგუფება „ვაგნერის“ ყოფილი მფლობელი, ევგენი პრიგოჟინი სინამდვილეში ცოცხალია და ვენესუელაში იმალება.

რუსი ბლოგერი მაიკლ ნაკი კი უფრო იმას ვარაუდობს, რომ ვალერი სოლოვეი უბრალოდ რეკლამას იკეთებს.

„ძალიან მოსახერხებელია. იმის დამტკიცება, რომ პუტინი ცოცხალია, ისევე შეუძლებელია, როგორც მისი სიკვდილის. მსგავს ჭორებს კი ბევრი ნახავ და სარფიანად გაყიდული რეკლამა მოაქვს“, – ამბობს **მაიკლ ნაკი.**

მართლაც, თითქმის ორი კვირაა, ვალერი სოლოვეი ინიერვიუებს არიგებს. ის ირწმუნება, რომ პუტინის მმართველობა წარსულს ჩაბარდა და ყველას მოუწოდებს, მეტის გასაგებად იკითხონ ტელეგრამარხი Генерал СВР.

არხი კი განაგრძობს იმის აღწერას, თუ რა ხდება პუტინის „სიკვდილის“ შემდეგ. ავტორის მტკიცებით, ახლა პუტინის ორეულიც ავად გამხდარა და კორონავირუსი დამართნია.

„რადიო თავისუფლება“

ვლადიმერ პუტინი ყაზახეთში ჩავიდა

ვლადიმერ პუტინი გუშინ აკორდას სახელმწიფო რეზიდენციაში ყაზახეთის პრეზიდენტს, ყასიმ-ჟომართ თოყაევს შეხვდა. შეხვედრისას განიხილეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პერსპექტივები და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები.

შეხვედრის დასრულების შემდეგ კი ყაზახეთის და რუსეთის პრეზიდენტები მედიისთვის კომენტარს გააკეთებენ. რუსეთისა და ყაზახეთის პრეზიდენტები ასევე რეგიონთაშორისი თანამშრომლობის XIX ფორუმის პლენარულ სესიას გამართავენ, რომლის თემაა „სოფლის მეურნეობა ძლიერი ეკონომიკის საფუძველი“.



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲡᲔᲠᲑᲔᲑᲛᲐ ᲧᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 2020 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲝᲚᲘ, ᲥᲡᲔᲜᲘᲐ ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ 70 ᲛᲚᲜ ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲘ�პᲢᲝᲕᲐᲚᲣᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲔᲓᲐᲕᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲥᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲬᲔᲚᲡ, ᲪᲝᲚᲘ ᲙᲘ ᲣᲨᲠᲝ ᲐᲓᲠᲔ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲡ ᲓᲐ �პᲝᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲚᲔᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲒᲐᲘᲥᲪᲜᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ.

2022 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲓᲛᲝᲩᲜᲓᲔᲜ – ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲘ ᲐᲥ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ�პᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲓᲐ.

ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ – ᲛᲐᲡᲖᲔ ᲘᲜᲢᲔᲠ�პᲝᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲐᲠᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲫᲔᲑᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲥᲡᲔᲜᲘᲐ ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲘ, ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ „ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ“.

ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲘ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ. ᲛᲐᲡ 20 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ. ᲐᲥ ᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ ᲛᲝᲒᲘᲗᲮᲠᲝᲑᲗ.

70 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ „ᲙᲠᲘᲞᲢᲝᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲐᲨᲘ“

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲔᲓᲐᲡᲪᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡ?!

„ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐ“

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲡ, ᲙᲐᲠᲛᲔᲚᲘᲢᲐ ᲠᲝᲙᲔᲡ 2015 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ ᲣᲠᲩᲘᲐ, ᲓᲐᲜᲐᲖᲝᲒᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ Options Rider-ᲨᲘ („ᲠᲐᲘᲓᲔᲠᲨᲘ“) ᲓᲐᲘᲒᲐᲜᲓᲔᲑᲘᲜᲐ, – ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐ ᲘᲧᲝ.

ᲠᲝᲙᲔᲛ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲘᲠᲛᲐᲨᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲔᲠᲘᲪᲮᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲡ ᲛᲭᲘᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲪ ᲙᲘ, ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲠᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ „ᲠᲐᲘᲓᲔᲠᲡ“ ᲛᲘᲜᲓᲝᲛᲝᲓᲐ. ᲐᲡᲔᲪ ᲛᲝᲘᲥᲪᲐ. ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲘᲪᲮᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲖᲔ.

ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ – „ᲠᲐᲘᲓᲔᲠᲘᲡ“ ᲝᲜᲚᲐᲘᲜᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐᲖᲔ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲖᲝᲒᲘ 100 000 ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲡᲐᲘᲢᲘ ᲒᲐᲩᲔᲠᲓᲐ.

„ᲠᲐᲘᲓᲔᲠᲘ“ ᲮᲐᲤᲣᲜᲒᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ – ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲐ, ᲡᲥᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲓᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ, 6 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲘᲞᲐᲠᲐᲕᲓᲐ!

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡ (ABC-ᲘᲡ) 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ.

„ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲐ ᲘᲧᲝ. ᲕᲔᲠ ᲕᲘᲞᲝᲕᲔᲗ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲠᲐᲘᲛᲔᲗᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲓᲐ. „ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲤᲣᲚᲘ“, – ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲔᲡ. ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲝᲤᲨᲝᲠᲣᲚ ᲖᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲓᲜᲔᲜ“, – ᲣᲗᲮᲠᲐ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲡ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ (AFP) ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲛᲐ, **ᲛᲔᲢ ᲝᲚᲘᲕᲘᲔᲠᲝᲛ.**

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ABC-ᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲑᲠᲐᲚᲘᲡ ᲬᲐᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲔᲑᲓᲐ, ᲐᲛ ᲡᲥᲔᲛᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ, ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲘ, ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲘᲥᲪᲐ. ᲘᲒᲘ 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ.

ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲗᲐᲝᲦᲚᲘᲗᲝᲗᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲩᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ.

2020 ᲬᲚᲘᲡ �მᲐᲠᲢᲨᲘ ᲨᲔᲣᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ, ᲢᲔᲮᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ 10-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲨᲔᲣᲤᲐᲠᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲙᲠᲘᲞᲢᲝᲕᲐᲚᲣᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲑᲘᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲘᲒᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲘᲡ ᲡᲥᲔᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲡᲥᲔᲛᲔᲑᲨᲘ Options Rider-ᲘᲪ ᲛᲝᲰᲕᲓᲐ. ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲤᲘᲒᲣᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ, ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲘ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, „ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲛᲐ ᲓᲐᲐᲤᲣᲫᲜᲐ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ, 7 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲛᲝᲔᲞᲐᲠᲐ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲝ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲓᲐᲣᲑᲐᲜᲓᲔᲑᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲞᲢᲝᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ „ᲡᲐᲤᲣᲚᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲗᲔᲗᲠᲔᲡ – ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲛᲐ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲬᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲠᲣᲡᲛᲐ „ᲕᲔᲜᲩᲣᲠᲣᲚᲛᲐ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ“ ᲨᲔᲘᲡᲧᲘᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲐ. 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲚᲘᲡᲨᲘ ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ 11 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲐ – ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲩᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲝᲚᲘ, ᲥᲡᲔᲜᲘᲐ ᲤᲔᲘ ᲐᲢᲘᲚᲐᲜᲘ ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲘ.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲣᲤᲐᲠᲓᲐ. ᲘᲛᲐᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲔ, ᲰᲐᲝᲘᲐ ᲛᲘᲐᲝ.

ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲐ

ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲡ – ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕᲔᲑᲡ, ᲒᲐᲛᲐᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲮᲐᲜᲡ ᲓᲐᲧᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ.

ᲛᲘᲡᲘ ᲪᲝᲚᲘ ᲤᲔᲮᲛᲫᲘᲛᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ 2020 ᲬᲔᲚᲡᲕᲔ ᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲝᲠᲘᲕᲔᲡ ᲐᲣᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲚᲔᲡ. „ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲔᲠᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲑᲝᲚᲝᲡ 2021 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲔᲠᲑ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕᲔᲑᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲕᲐᲜᲩᲐᲕᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲒᲘᲐᲗ. ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲥᲠᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲠᲙᲝ ᲞᲐᲕᲚᲝᲕᲘᲩᲘ.

ᲘᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲡ. ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ – 2021 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲛᲘ ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ, ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲔ ᲡᲢᲝᲘᲚᲙᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ.

ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲒᲐᲘᲥᲪᲜᲔᲜ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲐ, ᲠᲝᲛ 2022 ᲬᲔᲚᲡ, ᲡᲐᲐ�პᲔᲚᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲘᲥ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲐ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲐ.

„ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲔᲠᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲐ�პᲔᲚᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ 7 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲝᲘᲬᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ:

- **„2022 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲐ�პᲔᲚᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ �გᲐᲛᲝᲡᲪᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲛᲐᲜ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ:**
- **„ᲡᲐᲐ�პᲔᲚᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗ, ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲛᲠᲘᲕᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲧᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲡᲐᲪ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ, ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ.“**

2022 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲨᲘ ᲝᲜᲚᲐᲘᲜᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐ BMLM-ᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑᲡ ᲗᲕᲐᲚᲡ, ᲘᲕᲐᲠᲐᲣᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲘᲔᲑᲘ ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲑᲨᲘ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ.

ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲘᲡ ᲡᲐᲣᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ, ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗ, ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘᲡ ᲪᲝᲚᲘᲡᲓᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲤᲘᲡᲑᲣᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲡᲢᲐ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲬᲧᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲛᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲫᲚᲔᲝᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲔᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘ ᲬᲐᲛᲚᲘᲚᲘᲐ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲕᲠᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ 2019 ᲬᲚᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲢᲐ�გᲘ�გᲨᲘ ᲐᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲣᲚᲘ. ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ, �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲝᲜᲓᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲣᲐᲛᲛᲝᲛᲑᲡ, ᲠᲝᲛ 2020-22 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲠᲡᲢᲘᲩᲔᲑᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑ

- **ამერიკული მხარისთვის ცნობილი გახდა, რომ ის საქართველოში იმყოფებოდა, რის შემდეგაც საქართველოსთან გააფორმეს ინდივიდუალური ხელშეკრულება კრსტიჩის ექსტრადიციაზე; აშშ-სთან საქართველოს ექსტრადიციის ხელშეკრულება არ აქვს.**
- **შსს-მ კრსტიჩი 2023 წლის 3 თებერვალს ბათუმში დააკავა, როგორც წითელი ცირკულარით ძებნილი;**
- **მას საექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდეს;**
- **დაკავებიდან 40 დღის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად მოითხოვა მისი ექსტრადიცია.**

ოჯახი და ცოლის გარდაცვალება

ადვოკატის ცნობით, კრისტიან კრსტიჩს 7 შვილი ჰყავს – 4 არასრულწლოვანი, 3 სრულწლოვანი. ზოგიერთი მათგანი ავსტრალიაშია, ზოგი კი – ფილიპინებში.

გიორგი კონდახიშვილი გვეუბნება, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის ცოლი, ქსენია ფეი ატილანო კრსტიჩი 2023 წლის 20 აგვისტოს გარდაიცვალა – „გაურკვეველ ვითარებაში და მიზეზი ვერავინ დაადგინა“. დამაზუსტებელ კითხვაზე პასუხად ამბობს, რომ „რაც ინფორმაციაც გვაქვს, ის არის, რომ იგი ყოველგვარი წინაპირობის გარეშე სახლში (ბათუმში) გახდა ცუდად და გარდაიცვალა“. იგი ფილიპინებში გადაასვენეს.

პროცედურები და არგუმენტები

საქართველოს პროკურატურა აშშ-ს სამართალდამცავებზე დაყრდნობით იუწყება, რომ კრსტიჩმა 20 თაღლითური ონლაინ საინვესტიციო პლატფორმა შექმნა და ხელმძღვანელობდა „მასშტაბურ დანაშაულებრივ ორგანიზაციას“.

- **70 მილიონი დოლარი, პროკურატურის ცნობით, არის თანხა, რაც 6 წლის განმავლობაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ასეულობით დაზარალებულის მოტყუების შედეგად დაგროვდა.**
- **პროკურატურის ცნობითვე, ბრალდებული აშშ-ის სამართალდამცავი ორგანოების მიერ „ტრანსნაციონალური ხასიათის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თაღლითობისა და ფულის გათეთრების განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებისთვის იძებნებოდა წითელი ცირკულარით“.**
- **დაკავების შემდეგ გენერალურმა პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს აშშ-ში ექსტრადიციის შუამდგომლობით მიმართა. სასამართლომ ექსტრადიციას მწვანე შუქი აუნთო.**
- **კრსტიჩმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა და მოითხოვა, რომ ექსტრადიცია დაუშვებლად ეცნოთ.**

ადვოკატ კონდახიშვილის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამტკიცებდა, რომ ის უდანაშაულო იყო და მისი კომპანიები არ გამოიყენებოდა თაღლითობისათვის: „აცხადებდა, რომ მასთან მიმართებაში იყო საკმაოდ მაღალი ინტერესი, ვინაიდან იყო წარმატებული ამ სფეროში, შემოსავლიანი ბიზნესი ჰქონდა და ეს განაპირობებდა იმას, რომ მისი დევნა დაიწყეს“.

თუმცა, რახან საექსტრადიციო საქმეების განხილვისას საქართველოს სასამართლო ბრალდების განხილვაში არ შედის, ადვოკატის თქმით, დაცვის მხარის არგუმენტაცია ორ პუნქტს ეფუძნებოდა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებზე უთითებდა სასამართლოს.

მე-3 მუხლი „წამების აკრძალვაა“, მე-8 კი – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.

დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ „მას არ ჰქონდა ოჯახთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. ასევე, (შტატებში მოსალოდნელი სასჯელი) არათანაზომიერი იყო, არ იყო გამოკვეთილი ვადაზე ადრე გათავისუფლების თუ შეწყალების მექანიზმები“.

უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

კრსტიჩის დაკავებიდან რვა თვეში, 2023 წლის 11 ოქტომბერს, იუსტიციის მინისტრმა, რატი ბრეგაძემ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება და ხელი მოაწერა მის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციას. ამის შემდეგ, 30 ოქტომბერს, ბრალდებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებმა აშშ-ის მარშალთა სამსახურს გადასცეს.

რა ელის კრსტიჩს?

შეერთებულ შტატებში მის წინააღმდეგ ორი საქმეა აღძრული – ტეხასსა და ნიუ-იორკში.

ექსტრადიციის შემდეგ, 3 ნოემბერს, იგი ტეხასის სასამართლოს წინაშე წარდგა, სადაც პირადად მოისმინა ბრალდება, უახლოეს მომავალში კი ნიუ-იორკის სასამართლოს წინაშეც მოუწევს წარდგენა და დამატებითი ბრალის მოსმენა. ადვოკატი ამბობს, რომ აშშ-ის გამოძიების ფედერალურ ბიუროს თანამშრომლობისა და მისგან ინფორმაციის მოპოვების სურვილი ჰქონდა, თუმცა კრსტიჩმა უარი განაცხადა, „რადგან ამბობდა, რომ იყო უკანონო დევნა“.

FBI-ს წარმომადგენლები ამბობენ, რომ აშშ-ის მოქალაქეებს გამდიდრებას დაჰპირდნენ, მაგრამ გააცურეს და ზარალი მიაყენეს კრიპტოპირამიდების მეშვეობით.

„ზოგიერთმა მსხვერპლმა მთელი თავისი დანაზოგი დაკარგა“ და ვერ მოახერხა ამით გამოწვეული ფინანსური პრობლემებიდან თავის დაღწევაო, განაცხადა საქმის მთავარმა გამომძიებელმა, ჩად იარბომ. ბრალის დადასტურების შემთხვევაში, კრსტიჩს 20 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ლუკა პერტაია

შავი ზღვის წყალქვეშა ინტერნეტკაბელის პროექტის დაფინანსებაში ევროპის ბანკი ერთვება



„შავი ზღვის ინტერნეტ კაბელი ჩახსნის საქართველოს დამოკიდებულებას რუსეთზე და პირდაპირი, უშუალო კავშირი დამყარდება ევროპასთან, ასეთი პირდაპირი კავშირი ეკონომიკას სჭირდება“, – განაცხადა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა **ოლივერ ვარჰეიმ** პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილთან** ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

აღსანიშნავია, რომ Global Gateway-ის პროგრამის ფარგლებში ევროკავშირი შავი ზღვის ქვეშ ელექტროკაბელის განვითარებასაც გეგმავს. პროექტი უნგრეთსა და რუმინეთს საქართველოსა და აზერბაიჯანთან დააკავშირებს და ბლოკის „მომარაგების უსაფრთხოებას“ გაძლიერებს.

მსოფლიო ბანკის რეგიონალური დირექტორის განცხადებით, შავი ზღვის წყალქვეშა ინტერნეტ და ელექტროკაბელის პროექტით საქართველოს ახალი საექსპორტო გზა ჩნდება. როგორც **ჩარლზ ჯეი პორმიერმა** განაცხადა, აღნიშნული ენერგოპროექტის განხორციელებით, ერთი მხრივ, ევროპას ენერგორესურსების ახალი წყარო ექნება, ხოლო მეორე მხრივ, სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის ელექტროენერგიის დამატებითი საექსპორტო გზა ჩნდება. მისი თქმით, პროექტის ეკონომიკური პოტენციალიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ დაინტერესებული ქვეყნების წრე გაფართოვდება.

„ჩვენ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ჩავატარეთ მიზანშეწონილობის კვლევა, რათა გვეჩვენებინა, რომ შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტი ეკონომიკურად სიცოცხლიუნარიანია და სარგებლის მოტანა შეუძლია მასში ჩართული ქვეყნებისთვის. ეს პროექტი მოიცავს როგორც ელექტრო, ასევე ინტერნეტკაბელს. ევროპას დიდი მოცულობით ელექტროენერგია სჭირდება, აქამდე ევროპის ქვეყნები რუსულ გაზზე და ენერგორესურსებზე მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებული. თუმცა, ახლა ევროპამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეტაპობრივად შეამციროს რუსული ენერგორესურსების იმპორტი. სამხრეთ კავკასიის რეგიონს, მათ შორის საქართველოს ენერგო და ჰიდრორესურსების დიდი პოტენციალი აქვს. აზერბაიჯანს კი ქარის ენერგიის მიმართულებით აქვს პოტენციალი.

ამ პროექტის იდეა შემდეგშია – ევროპას ენერგორესურსების ახალი წყარო ექნება, ხოლო სამხრეთ კავკასიას მეტი შესაძლებლობა, ევროპაში ელექტროენერგია ექსპორტზე გაიტანოს. გარდა იმისა, რომ ამ პროექტით საქართველოსთვის ექსპორტის მიმართულებით ახალი გაზრები გაჩნდება, ის მისცემს ქვეყანას შესაძლებლობას, რომ მაგალითად, ზამთრის პერიოდში რუმინეთიდან შემოიტანოს ელექტროენერგია.

წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტთან დაკავშირებით საქართველომ, რუმინეთმა, აზერბაიჯანმა და უნგრეთმა საერთო ხედვას უკვე მოაწერეს ხელი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესაძლოა, სხვა ქვეყნებიც დაინტერესდნენ ამ პროექტით, რადგან ის სტაბილურობასთან ასოცირდება. ვფიქრობთ, საკმაოდ საინტერესო და ინოვაციური ინფრასტრუქტურული პროექტია“, – განაცხადა **მსოფლიო ბანკის რეგიონალურმა დირექტორმა** ევროპასა და ცენტრალურ აზიაში.

საქართველოს პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი კი ამ მეტად მნიშვნელოვან პროექტს „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმზე“ საგანგებოდ გამოეხმაურა. მისი შეფასებით, შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროენერგიის გადამცემი კაბელი გვპირდება იმას, რომ მწვანე ენერგიით მოხდეს ვაჭრობა ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიას შორის, ასევე ხელს უწყობს განახლებად ენერგიას და წყალმადის წარმოებას.

„სტრატეგიულმა შეთანხმებამ, რომელიც გაფორმდა 2022 წლის დეკემბერში, ბუქარესტში და მას ხელი მოაწერეს ლიდერებმა, საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, უნგრეთიდან და რუმინეთიდან, მყარი საფუძველი შექმნა ენერგეტიკული პარტნიორობისთვის და მსოფლიო ბანკი უკვე მიიჩნევს, რომ ეს არის უკვე ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი შეთანხმება. ჩვენ მოველით, რომ 2024 წელს იქნება პროექტის სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევაც და ასევე, წყალქვეშა ელექტროკაბელის პარალელურად კიდევ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი პირდაპირ დააკავშირებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას სამხრეთ კავკასიასთან და საქართველოს მოქალაქეებს უკვე ექნებათ წვდომა უფრო სწრაფ და სტაბილურ ინტერნეტ კავშირზე“, – განაცხადა პრემიერმა.

როგორც ირკვევა, წყალქვეშა კაბელის პროექტის გაანგარიშებისთვის დამატებითი კვლევები გახდა საჭირო, თუმცა მისი განხორციელების გეგმა და გრაფიკი კვლავინდებურად ძალაშია.

გეძა დანელია

სამეგრელოში, ჭალადიდში ნავთობისა და გაზის მოპოვებას იწყებენ

საქართველოში მოპოვებული ნავთობისა და გაზის მოცულობა ნელ-ნელა იზრდება. ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელის გიორგი ტატიშვილის განცხადებით, წელს ნავთობის მოპოვება 200%-ით, გაზის კი 140%-ით არის გაზრდილი. სააგენტო იმედოვნებს, რომ წლის ბოლოს დადასტურებული მაჩვენებლები ამსოლუტურ რიცხვებში ნავთობის შემთხვევაში 40 000-ტონიან ნიშნულს, გაზის შემთხვევაში კი 15-18 მილიონ მ³ მოცულობას მიაღწევს.

როგორც გიორგი ტატიშვილმა BMG-სთან საუბრისას განაცხადა, მოპოვებული ნავთობისა და გაზის მოცულობების ზრდა ბრიტანული ნავთობმომპოვებელი კომპანია Block Energy.-ის მიერ სამუშაოების ინტენსივობამ და ძებნაჰ მოპოვების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებამ გახადა შესაძლებელი.

ნავთობისა და გაზის სააგენტო მიიჩნევს, რომ ქვეყანას გაცილებით მეტი ნავთობისა და გაზის რესურსი გააჩნია, შესაბამისად აქცენტი კეთდება იმ პოტენციალის ათვისებაზე, რაც ქვეყანას არა მხოლოდ აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ ნაწილში აქვს. როგორც გიორგი ტატიშვილი აცხადებს, სამეგრელოში, კერძოდ ჭალადიდის ტერიტორიაზე წლის ბოლომდე ჭაბურღილის ბურღვა დაიწყება. ნავთობისა და გაზის მოპოვებით სამუშაოებს კომპანია „ვესტ გალფ პეტროლიუმი“ განახორციელებს.

„მაქსიმუმ წლის ბოლომდე ჭალადიდის ფართობზე, სამეგრელოში დაიწყება პირველი ღრმა ჭაბურღილის ბურღვა, რომელიც სადღაც 4 000 მეტრამდე იქნება. „ვესტ გალფ პეტროლიუმი“ პარალელურად სეისმურ სამუშაოებს ატარებს. დაახლოებით 200 კრძივ კილომეტრამდე უკვე მონაცემები ჩაწერილია. საკმაოდ ოპტიმისტური სურათი გვაქვს, რომ ამ ერთ ღრმა ჭაბურღილის დასრულებისთანავე მეორე ჭაბურღილიც გაიჭრება“, – აცხადებს **გიორგი ტატიშვილი.**

ნავთობისა და გაზის სააგენტო ინვესტორის შემოყვანას აპირებს კახეთში მდებარე ერთ-ერთ სალიცენზიო ბლოკზეც, სადაც როგორც ნავთობის, ისე გაზის რესურსები არსებობს.

„კახეთის მიმართულებით ჩვენ გვაქვს თავისუფალი სალიცენზიო ბლოკი, სადაც ვფიქრობთ მოვახდინოთ ამ ტერიტორიაზე არსებული მასალების კიდევ ერთხელ გადამუშავება, რომ შევთავაზოთ ინვესტორებს. დიდი ფართობის მქონე ბლოკია, საინტერესო ადგილას, იქ იყო ისტორიულად ჭაბურღილი, რომელშიც როგორც ნავთობის, ისე გაზის გამოვლინებები გახლდათ. მოვსინჯავთ ამ მიმართულებითაც და ვეცდებით, შემოვიყვანოთ ძლიერი ტექნოლოგიური კომპანია, რომელიც ამ მიმართულებასაც განავითარებს“, – აცხადებს **ტატიშვილი.**



პედრო-სანჩესი კოალიციას ვერ ქმნის!

მადრიდი და გარსელონა მრავალათასიანმა დემონსტრაციებმა მოიცვა. დემონსტრანტები, კატალონიელი სეპარატისტების ამნისტიის შესახებ მთავრობის განზრახვას აპროტესტებდნენ. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის ივლისში, ესპანეთში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელშიც ვერცერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა უმრავლესობა. ესპანეთის ორივე დიდ პოლიტიკურ ძალას, სახალხო პარტიასა და სოციალისტებს, ქვეყნის სამართავად მანდატები აკლიათ. მათ კოალიციის შექმნაც ვერ მოახერხეს. ამიტომ, ქვეყანას, ისევ, გადარჩეული პრემიერ-მინისტრი, პედრო-სანჩესი მართავს, რითაც მთელი პოლიტიკური ელიტა უკმაყოფილოა. თვით ესპანეთის მონარქიც კი! კოალიციის შესაკოწიწებლად, პრემიერმინისტრი გააქტიურდა და, თითქოს, მიაღწია კიდეც მიზანს. კოალიციაში შესვლაზე მას თანხმობა მემარცხენე პარტია „სუმარმა“ და კატალონიელმა ნაციონალისტებმა მისცეს, მაგრამ ისინი პრემიერ-მინისტრს ერთი მძიმე პირობის შესრულებას სთხოვენ – **ყველა კატალონიელი სეპარატისტის ამნისტიას**. საუბარია 6-წლის წინანდელი მთავრობის წევრებზე, კატალონიის მაშინდელი პრეზიდენტის, პუჩდემონის ჩათვლით. მოგეხსენებათ, 2017 წელს, რეგიონის დამოუკიდებლობის საკითხზე, კატალონიის მთავრობამ რეფერენდუმი ჩაატარა, რომელიც ესპანეთის მთავრობამ არ სცნო და კატალონიის მთელი მთავრობის დაპატიმრება სცადა. ბევრი, პუჩდემონის ჩათვლით, ქვეყნიდან გაიქცა. ზოგი კი, ესპანეთის მართლმსაჯულებას ჩაბარდა. კატალონიელი სეპარატისტების მოსალოდნელმა ამნისტიამ ესპანეთის მემარჯვენე ბანაკი უკიდურესად აღაშფოთა.

დაწყებული სახალხო პარტიით და დამთავრებული ულტრა-მემარჯვენეებით, მთავრობის ეს განზრახვა ყველამ გააპროტესტა. ისინი პრემიერ-მინისტრ პედრო-სანჩესს სეპარატისტებთან არაკანონიერ გარიგებაში ადანაშაულებენ. მათი აზრით, პრემიერ-მინისტრმა სკამი უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე კანონის უზენაესობა.

„ჩვენ, ესპანელები არ ვართ დამნაშავე, რომ სანჩესი კოალიციას ვერ ქმნის. ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ, უკვე, ყველაფერი თქვა: დამნაშავე ციხეში უნდა იჯდეს და ჩვენ მათთან საბოდიშო არაფერი გვაქვს“, – განაცხადა სახალხო პარტიის ლიდერმა **ალბერტო ფეიხომ.** სოციალისტებმა, კოალიციის მისაღწევად, სხვა კანონის მიღების სურვილი გამოთქვეს: ესპანეთის სხვა ავტონომიების ანგარიშგასაწევად, მათ პარლამენტში კატალონიურ, ბასკურ და გალიციურ ენაზე ლაპარაკის უფლება დართონ.

ამ კანონის წინააღმდეგ, უკვე, მთელი ესპანეთის საზოგადოება გამოვიდა იმ მოტივით, რომ მომავალში ესპანეთის პარლამენტი, შეიძლება, გაბილონის კოშკს დაემსგავსოს, სადაც ადამიანებს ერთმანეთის არ ესმოდათ. ამ აურზაურში, საბოლოო სიტყვა ესპანეთის მეფე ფილიპეს ერგო. მან განაცხადა: თუ სოციალისტური პარტია, პედრო-სანჩესის ლიდერობით, 27 ნოემბრამდე კოალიციას ვერ შექმნის, ხელახალი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. მემარცხენეებს სწორედ ამის აცილება სურთ თავიდან, რადგან ბოლო გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ამ ხმაურიანი კამათის დროს, მემარცხენეების რეიტინგი მკვეთრად დავარდა, მემარჯვენეებისა კი, საგრძნობლად აიწია.

მაიკ ჯონსონი მორწმუნე ქრისტიანია!

სამკვირიანი მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ახალი სპიკერი აირჩია. ეს, მანამდე ნაკლებად ცნობილი რესპუბლიკელი პოლიტიკოსი მაიკ-ჯონსონია. მისი წინამორბედი, კევინ-მაკარტი, რესპუბლიკელებმა ელვისებური სისწრაფით გადააყენეს. ეს ამბავი, ამერიკის საკონონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის არსებობის ისტორიაში, პირველი შემთხვევაა. მაკარტის, კოლეგები იმიტომ დაუპირისპირდნენ, რომ ის ბაიდენის ადმინისტრაციის ბიუჯეტის დამტკიცებას ძალიან ადვილად დათანხმდა.

ახალი სპიკერის არჩევა იმიტომ შეყოვნდა, რომ რესპუბლიკური პარტია კანდიდატზე ვერ შეჯერდა. საბოლოოდ, მოხდა ის, რომ წარმომადგენელთა პალატის უმრავლესობამ ხმა, 51 წლის კონგრესმენს ლუიზიანას შტატიდან, მაიკ ჯონსონს მისცა, და ის წარმომადგენელთა პალატის 56-ე სპიკერი გახდა. მაიკ ჯონსონი დონალდ ტრამპთან დაახლოებული პოლიტიკოსია. 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როცა ბაიდენმა გაიმარჯვა, მაიკ-ჯონსონმა იმ კონგრესმენთა ჯგუფის ლიდერობა ითავა, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გასაჩივრებასა და შეცვლას ცდილობდნენ. ახლა, ანტი-ტრამპისტები და დემოკრატები, მაიკ-ჯონსონის არჩევის გამო, ნამდვილ ნოკდაუნში არიან. ბევრისთვის უცნობი ეს ახალი სპიკერი უმწიკვლო რეპუტაციის მქონე პოლიტიკოსი აღმოჩნდა. თან, ძალიან მორწმუნეა!

სპიკერად რომ აირჩიეს, ერთი ჟურნალისტი მისი მსოფლმხედველობით დაინტერესდა, რაზეც ჯონსონმა უპასუხა, გადმოიღე თაროდან ბიბლია და წაიკითხე, ეს არის ჩემი მსოფლმხედველობაო! პოლიტიკოსობამდე, მაიკ-ჯონსონი საკმაოდ ცნობილი იურისტი იყო, რომელიც კონსერვატიული მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობდა. მისი სპიკერად არჩევის გამო, ამერიკულმა მეინსტრიმ მედიამ განგაში ატეხა, აქაოდა, სპიკერად, ულტრა-რელიგიური და ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკოსი აირჩიეს, რაც ლიბერალური ამერიკისთვის ცუდის მომასწავებელიაო. ისე, ამ ამბავში, რაღაც სიმართლისმაგვარი ნამდვილად ურევია. ბოლოდროინდელი სოციალური კვლევები ცხადყოფს, რომ ამერიკის მოსახლეობაში ნელნელა იზრდება კონსერვატიულ-ქრისტიანული ფენა, რომელიც, უკვე, ხმამაღლა გამოთქვამს სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ლგბტ თემთა მომძლავრების გამო უკმაყოფილებას.

მაიკ-ჯონსონი კი, მოსახლეობის სწორედ ამ კონსერვატიულ ფენას განეკუთვნება. მისთვის, ერთნაირსქესიანთა ქორწინება სრულიად მიუღებელია. მე ქალისა და მამაკაცის ქორწინების ერთგული ვარო, ასე განაცხადა. აბორტს ეწინააღმდეგება, და სახელმწიფოსა და ეკლესიის დაახლოებას ემხრობა. დემოკრატების პანიკა მაიკ-ჯონსონის მიმართ ამით არ მთავრდება. პოლიტიკურ წრეებშიც და საზოგადოებაშიც, აღიარებულია, რომ მაიკ-ჯონსონი რბილი და უკონფლიქტო ადამიანია, რომელიც მოწინააღმდეგეს ჩხუბითა და ხმამაღლა ლაპარაკით კი არ უტევს, არამედ, მშვიდად მიუთითებს მისთვის მიუღებელ აზრებზე.

ერთმა დემოკრატმა მაიკ ჯონსონზე თქვა, ტრამპისა და ტრამპისტების კრიტიკა ადვილია, მაგრამ მაიკ-ჯონსონი სულ სხვა ხილია და გაგვიჭირდება მისთვის წინააღმდეგობის გაწევაო. შეძლებენ თუ ვერა დემოკრატები მაიკ-ჯონსონის განეიტრალებას, სულ მალე გამომჟღავნდება, რადგან კონგრესში ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი, მათ შორის, უკრაინის დაფინანსების გაგრძელება-არგაგრძელების საკითხი.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

უკრაინისთვის გამოყოფილი ამერიკული დახმარების 96 პროცენტი დახარჯულია



თეთრ სახლში აცხადებენ, რომ უკრაინისთვის გამოყოფილი დახმარების 96 პროცენტი დახარჯულია. ამის შესახებ ინფორმაციას თეთრი სახლის წარმომადგენელი პონ პირგი ავრცელებს. მისი თქმით, საუბარია 60 მილიარდ დოლარზე, რომელიც გამოყოფილი იყო როგორც სამხედრო, ისე ფინანსური და ჰუმანიტარული დახმარებისთვის.

კირბის განმარტებით, მხოლოდ სამხედრო დახმარებაზე გამოყოფილი სახსრებიდან 90 პროცენტი უკვე დახარჯულია.

„თავდაცვის დეპარტამენტს დარჩა დაახლოებით 1,1 მილიარდი დოლარი, რაც ზამთრის მარაგის შევსებაზე უნდა დაიხარჯოს. ასე რომ, ასაფრენი ბილიკი დამოკლდა და ჩვენ გვჭირდება დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება“, – განაცხადა **პირგიმ,** რაშიც ის კონგრესში გადაგზავნილი ახალი სამხედრო პაკეტის დამტკიცების საჭიროებას გულისხმობდა.

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი კონგრესს სთხოვს, უკრაინისთვის დახმარების სახით კიდევ 61,4 მილიარდი დოლარი გამოყონ. ბაიდენის ინიციატივით,ეს თანხა არის უფრო დიდი მხარდაჭერის პაკეტის ნაწილი, რომელიც უკრაინასთან ერთად, ისრაელისა და ტაივანის სამხედრო დახმარებას აერთიანებს, ასევე ამავე პაკეტში გათვალისწინებულია თანხა აშშ-ის და მექსიკის საზღვრის დაცვის გაძლიერებისა და ჰუმანიტარული საჭიროებებისთვის.

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატა დაჟინებით ითხოვს, რომ ისრაელის სამხედრო მხარდაჭერის პაკეტი განცალკევებით იყოს წარმოდგენილი. ბაიდენი კი აცხადებს, რომ თუ პაკეტში უკრაინის მხარდაჭერა არ იქნება გათვალისწინებული, ის ვეტოს უფლებას გამოიყენებს.

ზელენსკის ნაცისტი უწოდეს

აშშ-ის პრეზიდენტობის რესპუბლიკელმა კანდიდატმა, ვივეკ რამასვამიმ უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის ნაცისტი უწოდა, – ამის შესახებ მან მაიამიში პრეზიდენტობის რესპუბლიკელ კანდიდატებს შორის გამართულ დებატებზე განაცხადა.

„უკრაინა არაა დემოკრატიის მაგალითი. ამ ქვეყანაში 11 ოპოზიციური პარტია აკრძალეს. ყველა მედია გაერთიანებულია ერთ სახელმწიფო ტელევიზიაში – ეს არაა დემოკრატია. უკრაინა იმუქრება, რომ წელს არჩევნებს არ ჩაატარებს, თუ აშშ დამატებით ფულს არ გამოუყოფს – ესა არაა დემოკრატია. მათ განადიდეს ნაცისტი, კომიკოსი კარგო-შარვლით, სახელად ზელენსკი... არ დაუჯეროთ, როცა ვიღაც ცდილობს, ეს წარმოაჩინოს როგორც ომი სიკეთესა და ბოროტებას შორის“, – განაცხადა რამასვამიმ.

უკრაინას არ დაეხმარებიან

სლოვაკეთის ახალმა მთავრობამ არ დაამტკიცა უკრაინისათვის 40.3 მილიონი ევროს ოდენობის სამხედრო დახმარების მე-14 პაკეტი, რომელიც წინა მთავრობამ წარადგინა.

სამხედრო დახმარების პაკეტი შეიცავდა ვაზნებს, მსხვილი კალიბრის საბრძოლო მასალას, რაკეტებს საჰაერო თავდაცვის სისტემებისთვის, ნაღმტყორცნებსა და ნაღმებს. უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბური შეჭრის დაწყებიდან სლოვაკეთმა უკრაინას სამხედრო დახმარების 13 პაკეტი მიაწოდა, რომლის საერთო ღირებულება 671 მილიონ ევროს შეადგენს. სლოვაკეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა, რობერტ ფიკომ განაცხადა, რომ ის არ დაუჭერს მხარს უკრაინისათვის სამხედრო დახმარების მიწოდებას, რადგან „სჯობს, 10 წელი აწარმოონ სამშვიდობო მოლაპარაკებები, ვიდრე 10 წლის განმავლობაში დახოცონ ერთმანეთი ყოველგვარი შედეგის გარეშე“.

ᲞᲠᲝᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲐᲕᲒᲣᲡᲢᲣᲡᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ, ცოლ-ქმრობის ინსტიტუტის რეგულაციებისა და კვალიფიკაციების შესაბამისად (მამაკაცებისთვის 25-60, ქალებისთვის – 20-50 წელი), ცოლშვილიანებისა და მრავალშვილიანებისთვის დანიშნული იყო ჯილდოები და პრივილეგიები, მერბიჭებისთვის კი შემოღებული იყო ჯარიმები. თუმცა, გარდა ამისა, მოსახლეობის ზოგიერთი კლასისთვის ცოლ-ქმრობა აკრძალული იყო, რითაც მემკვიდრეთა რიცხვი საგრძნობლად მცირდებოდა.

კონკუბინატის (საყვარლების) ინსტიტუტმა მთელი ადრეული შუა საუკუნეების განმავლობაში იარსება და ბოლო მას მხოლოდ XVI საუკუნეში, 1516 წლის ლათერანის სობორომ, აუგუსბურგის 1530 წლის სახელმწიფო-საპოლიციო წესდებამ, ასევე გვიანდელმა საეკლესიო და საერო აკრძალვებმა დაუდეს.

ამდენად, დოქტორ ბლოხის აზრით, ეკლესიის მამების, პაპებისა და ხელმწიფეთა მიერაც კი აღიარებული, ძველი დროიდან შემორჩენილი ერთადერთი ჯანსაღი და მიზანდასახული ინსტიტუტის გაუქმებით, კაცობრიობამ საგრძნობლად დაიხია უკან. ამით ჩვენ უარვყავით ძველი დროის ერთადერთი კარგი დაწესებულება, რომელიც თავის წიაღში მომავლის ნაყოფის მომცემ ჩანასახს ატარებდა და ანტიკური სქესობრივი მორალის მხოლოდ ჩრდილოვანი მხარეები შემოვინახეთ.

„ეჭვი არ არის, რომ ნებისმიერი თანამედროვე სქესობრივი რეფორმა, რომელიც პროსტიტუციასთან ბრძოლას სერიოზულად დაისახავს მიზნად, იძულებული იქნება ძველ დროში არსებული კონკუბინატის ინსტიტუტის მსგავსი ორგანიზაციის შექმნას, რომელსაც, თანამედროვე ეპოქის მოთხოვნილებათა შესაფერისი, ისეთივე იურიდიული უფლებები ექნება“, – წერს დოქტორი ბლოხი.

* * *

პროსტიტუციის წინააღმდეგ მიმართული ძველი დროის მისწრაფებებსა და იდეებს, ვერანაირად ვერ მოჰყვებოდა რამდენადმე არსებითი სქესობრივი რეფორმა და არა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ერთმანეთთან სისტემურად არანაირად არ იყვნენ დაკავშირებულნი, არამედ იმიტომაც, რომ ძველთაძველ ორმაგი სტანდარტის მორალს ეფუძნებოდნენ, რომლის წინაპირობა მონობა და ქალის სისტემატური ჩაგვრა იყო. ძველ დროში, სიყვარულთან მიმართებაში, სრულიად გამოუყენებელი იყო შრომის დიადი პრინციპი. მხოლოდ უახლესი დროის დადგომასთან ერთად და სქესთა შორის ახალ დამოკიდებულებათა დამყარების შემდეგ... კაცობრიობამ მიიღო მართალია უკვე მომაკვდავი, მაგრამ ჯერ კიდევ ოფიციალურად აღიარებული ორმაგი მორალის თავიდან მოცილების შესაძლებლობა, რომელიც ტიპური იყო მონათმფლობელური სახელმწიფოებისთვის.

იყო დრო, როცა მიაჩნდათ, რომ ძველი სამყარო დაიღუპა სქესობრივი აღვირახსნილობის მიზეზით. თუმცა ავტორიტეტულმა მკვლევარებმა, მათ შორის ლუდვიგ ფრიდლენდერმა, დაამტკიცეს, რომ ძველი სამყაროს დაღუპვის მიზეზი ნატურალური მეურნეობა იყო, რომ ანტიკურ სახელმწიფოთა დაღუპვა ძირითადად ეკონომიკური მიზეზებით იყო განპირობებული. ქალაქი-სახელმწიფოებიც და იმპერიებიც გადაუჭრელი აგრარული საკითხის მიზეზით მოისპნენ. ამას ასევე დაემატა სამოქალაქო ომებისა და ხელმწიფეთა ნებასურვილით საუკეთესო მოქალაქეთა განადგურება, ჩინოსანთა გარყვნილება და დაქირავებულ ჯართა ორგანიზება, ასკეტიზმის გავრცელება და სარწმუნოების გამო დევნა, რის შედეგად სიკვდილს, ძირითადად, „უარესნი“ გადაურჩნენ.

* * *

ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲗ, სოციალური მნიშვნელობით და, უწინარესად, სუბიექტური შეფასებით, ასევე სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ცალკეულ პირთა მიერ მისდამი დამოკიდებულების თვალსაზრისით, პროსტიტუცია დღესდღეობითაც ავლენს თავის ანტიკურ ბუნებას.

ამდენად, ვინც მეძავობასთან რადიკალურად და წარმატებით ბრძოლასა და მის მოსპობას ეცდება, თავდაპირველად მისი ანტიკური ფესვები უნდა ამოძირკვოს. ამის გაკეთება კი მხოლოდ ერთი წინასწარი პირობის შესრულებით – **თანამედროვე კულტურული განვითარების კონტექსტში სქესობრივი რეფორმის ჩატარებითაა შესაძლებელი.**

ჩვენი ინდივიდუალური მორალითა და სქესობრივი ეთიკით, პროსტიტუცია ამჟამად თანამედროვე საზოგადოებრივი

ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲣᲚ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲨᲘ

სხეულისთვის უცხო, ჰეტეროგენური წარმონაქმნია, რომლის განადგურებას დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენი სოციალური გრძნობა და პიროვნების მნიშვნელობასა და ფასეულობაზე ჩვენი პროგრესული შეხედულება. (აქ **კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ მონოგრაფია „პროსტიტუციის ისტორია“ მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე იწერებოდა, ამდენად დოქტორ ბლოხს საშინელ სიზმარშიც არ დაესიზმრებოდა ის ენით აუწერელი, ლამის პლანეტარული მასშტაბის კატაკლიზმები, რომლებიც თანამედროვე სქესობრივ ურთიერთობათა სფეროში ხდება, ამდენად ზოგიერთი მისი მსჯელობა მკითხველს შესაძლოა ზედმეტად მიამიტურად მოეჩვენოს** – ო. ტ.).

თუკი სქესობრივ ურთიერთობათა საკითხს არა ანტიკური თვალსაზრისით, არამედ მას თანამედროვე ბიოლოგიის, ისტორიული და საზოგადოებრივი მეცნიერების თვალსაზრისით შევხედავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ **სქესობრივი ინსტინქტი, ზოგადად, წარმოადგენს ბუნებრივ, ჭეშმარიტად ეთიკურ მოვლენას, რომელსაც ცალკეული ინდივიდის სიცოცხლის, განვითარების, შრომისა და გედნიერებისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ერთიანად კაცთა მოდგომისათვის.** ანტიკური სქესობრივი ეთიკის ფუნდამენტური შეცდომა კი ის იყო, რომ ის ჯეროვნად არ აღიარებდა ცხოვრების სარბიელზე მეუღლეთა შრომას, თან არც ამას აკმარებდა და კიდევ „უწმინდურად“, „მდაბიოდ“, „ცოდვისეულად“ რაცხავდა ქალურ საწყისსა და ზიზღს იჩენდა მის მიმართ.

ანტიკურ სამყაროსთან დაკავშირებული და შემდგომ მისგან თანდათანობით დაშორებული პროსტიტუციის აღწერა, ბუნებრივად, ორ დიდ ნაწილად იყოფა, რომლის გარე ზღვარი შუა საუკუნეების ბოლოსა და ახალი დროის დაწყებაზე გადის. პროსტიტუციისთვის ამ ორმა პერიოდმა განსაკუთრებული მნიშვნელობა კიდევ იმიტომ შეიძინა, რომ **ხანგრძლივ მოგზაურობათა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეპოქაში, კულტურულმა სამყარომ პირველად გაიცნო გასაოცარი და საშინელი გადამდები დაავადება, რომელმაც ახალი, უმძიმესი დაღი დაამჩნია მეძავობასა და სოციალური თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტად საშიში გახდა ის: ესაა სიფილისი, „სქესობრივი ჭირი“.**

არც კეთრს, არც ჭირს, არც სხვა რომელიმე უკურნებელ დაავადებას, რომლებმაც მომაკვდინებელი ქარიშხლები თავს დაატეხეს მთელს ევროპასა და შემდგომ უკვალოდ გაქრნენ, ისეთი შიშის ზარი არ დაუტეხია ხალხებისთვის, როგორც ეს ცენტრალური ამერიკიდან მეზღვაურების მიერ შემოტანილმა სიფილისმა ჰქნა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ **ამ სნეულებამ შიმშილთან ერთად, უშუალოდ კაცობრიობის არსებობის ფუძეს – სამყაროს მმართველ ძალას – სქესობრივი ლტოლვის ინსტინქტს დაარტყა.** სიფილისი – ახალი დროის მიჯნაზე გაჩენილი ერთ-ერთი უმძლავრესი მოვლენა გახდა, რომელმაც კაცობრობის მსოფლმხედველობა შეცვალა. მან არა მარტო მედიცინაში უდიდეს გადატრიალებას შეუწყო ხელი, არამედ ადამიანებს შორის ურთიერთობებში ჭეშმარიტი რევოლუცია მოახდინა. **მას ლომის წილი უდევს თანამედროვე ინდივიდუალიზმის ჩამოყალიბებაში. სიფილისის წყალობით, პროსტიტუციამ სახე იცვალა და სწორედ მას მიუძღვის უდიდესი როლი იმაში, რომ დროთა განმავლობაში მეძავობის ანტიკური ხასიათი დაინგრა.**

შუასაუკუნოვანმა პროსტიტუციამ ბიზანტიის დაცემამდე იარსება და მას, აღმოსავლური კოლორიტით შეზავებულს, უმჭიდროესი კავშირი ჰქონდა ანტიკურ მეძავობასთან: ესენი იყვნენ ბერძნულ-რომაული ყოფისთვის დამახასიათებელი საროსკიპოები, თეატრალიზებული და ქუჩის კახპობა, დუქნები, სადაც კლიენტებს მხოლოდ მეძავები ემსახურებოდნენ...

მან დიდი ზეგავლენა იქონია ასევე არაბულ კულტურაზე: ჰეტერიზმმა და ნატიფმა პროსტიტუციამ მაჰმადიან არაბებში ბიზანტიიდან შეაღწია. წინა აზიის ბერძნული ქალაქების, სირიისა და ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ, არაბებმა ძალიან სწრაფად გადაიღეს დაპყრობილ ხალხთა და პოლისების მოქალაქეთა მანკიერებები. ამრიგად, შუასაუკუნოვანმა მაჰმადიანურმა კულტურამ, რომელიც გაჟღენთილი იყო ბერძნული ელემენტებით, თავის მხრივ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ჩინეთზე, ინდოეთზე, ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და ცენტრალურ აფრიკაზე.

ანტიკური პროსტიტუციის ზეგავლენის თვალის გადევნება შესაძლებელია არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. №83, 85-87, 90, 93, 99, 101, 108

მოამზადა
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲒᲔᲚᲘᲫᲔ

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ)

ᲔᲡ ᲘᲪᲝᲓᲘᲗ?!

ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲞᲠᲝᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲐᲓᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲡᲣᲢᲔᲜᲘᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ 5-ᲓᲐᲜ 15 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲐ, 2012 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲙᲘ, ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲔᲫᲐᲕᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲡᲐᲛ ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲪᲘᲮᲔ ᲔᲛᲣᲭᲠᲔᲑᲐᲗ.

* * *

ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲐᲓᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲓᲝᲠᲐᲨᲘ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ ᲙᲘ ᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲘᲛᲘᲗ ᲘᲡᲯᲔᲑᲐ. ᲐᲘ, ᲑᲝᲠᲓᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲓᲔᲜᲔᲑᲘ 10 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲐ ᲔᲛᲣᲭᲠᲔᲑᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲠᲝᲡᲙᲘᲞᲝᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲡᲜᲘᲐ-ᲰᲔᲠᲪᲝᲒᲝᲕᲘᲜᲐᲨᲘᲪ.

* * *

ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲞᲠᲝᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ, ᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲯᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ.

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲐᲛᲭᲐᲛᲐᲓ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ, ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲘᲒ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ.

* * *

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲨᲘ, ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ, ᲛᲔᲫᲐᲕᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡᲐᲡ, ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲔᲫᲐᲕᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲘ, ᲛᲣᲨᲢᲐᲠᲘ. ᲩᲔᲮᲔᲗᲨᲘ ᲙᲘ ᲞᲠᲝᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲚᲔᲛᲝᲑᲘᲔᲠᲐᲓ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲡ.

◎ ევროტურნირებზე

ქულის ფასი

შეგახსენებთ, რომ ფინა ევროპის თასზე თსუ-მ ხუთწლიანი პაუზის შემდეგ გამართული სასტარტო მრძოლა გერმანიაში მოლო წამებზე დათმო გოტინგენთან. ისტორია განმეორდა – ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილი გუნდი საპასუხო საშინაო შეხვედრაში ჯგუფის ლიდერთან კიდევ უფრო დასანანად უკანასკნელ წამზე დამარცხდა 85:86 (14:18, 23:25, 18:22, 30:21):

არადა, თამაში ისე დაიწყო, მოვლენათა მსგავს განვითარებას ძნელად თუ წარმოიდგენდა კაცი, რადგან სტუმრებმა ზედიზედ სამი პერიოდი მოიგეს, მოლო მეოთხედში კი მათმა უპირატესობამ 17-ქულიან ნიშნულს უწია.

კრიტიკულ ვითარებაში სტუდენტებს ანდრონიკაშვილი შეეწია და საბოლოოდ დიდოსტატური მონაგრით გამოირჩა – 35 წუთში 31 ქულა, 6 მოხსნა და 4 პასი. შესანიშნავი სტატისტიკა ჰქონდათ აგრეთვე კახა ჯინჭარაძეს – 17 ქულა და 6 მოხსნა, გიორგი ტურძილაძეს – 14 ქულა და ალექსანდრე ფევაძეს – 10 ქულა და 7 მოხსნა.

რაც შეეხება სტუმრებს, ღირსეულად ითამაშეს მარნსმა – 17 ქულა, 7 მოხსნა, ენსმინგერმა, სილინსმა (16-16 ქულა) და ანტიჩევიჩმა (14 ქულა, 9 მოხსნა).

ვარეზე – კერავნოსი 97:90.

სატურნირო მდგომარეობა: გოტინგენი – 4, ვარეზე – 3, თსუ – 1, კერავნოსი – 0 მოგება.

15 ნოემბერს თსუ კვიპროსელებს ეწვევა.

* * *

წარმატებით დახურა ჯგუფური ტურნირი ჩემპიონთა ლიგის ლიდერმა ტენერიფემ, რომელმაც პირველი წრის ფინიშზე შინ მეორე გამარჯვება ლატვიურ რიგასთან მოიპოვა – 76:55.

კუნძულელთა ქართველმა ცენტრმა **გიორგი შერმადინმა** 29 წუთში 11 ქულას, 5 მოხსნასა და 1 ზუსტ პასს მოუყარა თავი, 21 ნოემბერს კი მისი კლუბი თურქულ დარუშაფაკას უმასპინძლებს.

◎ ოლიმპიურ მუზეუმში

დიპლომები გადაეცათ

საქართველოს ოლიმპიურ მუზეუმში გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტის მენეჯმენტის კურსების წარმატებულ კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის ცერემონია.

სპორტის სხვადასხვა სახეობისა და სპორტული ორგანიზაციის 21 წარმომადგენელს ოლიმპიური სპორტის ორგანიზაციების მართვაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დიპლომები გადასცა სეოკ-ის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა.**

2023 წლის სპორტის მენეჯმენტის რიგით მე-9 კურსები საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივითა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამული დაფინანსებით ჩატარდა. პროექტი მიზნად ისახავს სპორტულ ორგანიზაციებში, ეროვნულ ფედერაციებსა და სპორტის სფეროში დასაქმებული სპეციალისტების, მწვრთნელებისა და მოხალისეების კვალიფიკაციის ამაღლებას ოლიმპიური სპორტის ორგანიზაციების მართვის ძირითად საკითხებზე.

მენეჯმენტის კურსების მონაწილეებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს პროგრამით გათვალისწინებულ 6 თემაზე, კერძოდ, ოლიმპიური სპორტის ორგანიზაციების მართვა, სტრატეგიული მართვა, ადამიანური რესურსებისა და ფინანსების მართვა, მარკეტინგი და მასშტაბური სპორტული ღონისძიების ორგანიზება. სპორტის მენეჯმენტის უმაღლეს კურსებს უძღვებოდნენ სოკ-ის მიერ სერტიფიცირებული პროგრამის დირექტორი, სეოკ-ის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი რუსუდან აფციაური, კურატორები და მოწვეული ექსპერტები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი რუსუდან აფციაური. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით ტრადიციულად მომავალშიც აქტიურად განახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებს.

◎ ევრო – 2024

სანიოლის რჩეულნი

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნითი მატჩებისთვის მზადებას 13 ნოემბერს დაიწყებს.

ვილი სანიოლის გუნდი 16 ნოემბერს თბილისში შოტლანდიის ნაკრებს უმასპინძლებს, ხოლო 19 ნოემბერს მოლო შეხვედრას ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ, სტუმრად, ვალიადოლიდში გამართავს.

მოახლოებული მატჩებისთვის ჩვენი გუნდი შემდეგი 25 ფეხბურთელით მოემზადება:

მეკარეები: **გიორგი ლორია, გიორგი მამარდაშვილი, ლუკა გუგეშაშვილი.**

მცველები: **გურამ კაშია, სოლომონ კვირკველია, ოთარ კაკაბაძე, ლუკა ლოჩოშვილი, გიორგი გოჩოლეიშვილი, ირაკლი აზაროვი, ივა გელაშვილი, ალექსანდრე კალანდაძე.**

ნახევარმცველები: **ნიკა კვეკვესკირი, გაბრიელ სიგუა, გიორგი ქოჩორაშვილი, გიორგი აბურჯანია, ვლადიმერ მამუჩაშვილი, ანზორ მექვაბიშვილი, სანდრო ალთუნაშვილი, ლევან შენგელია, გიორგი ჩაკვეტაძე, ზურიკო დავითაშვილი.**

თავდამსხმელები: **გიორგი მიქაუტაძე, ხვიჩა კვარაცხელია, დავით ვოლკოვი, ბუდუ ზივზივაძე.**

◎ ჩემპიონთა ლიგა

მარადონას სტადიონზე ნაპოლიმ სეზონის მე-7 შეხვედრა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის ეგიდით გამართა და აქტივში მხოლოდ 2 მოგება დარჩა.

ჩავარდნის მიუხედავად

კიდევ უფრო სავალალოა მეტოქის – ბერლინის უნიონის წლიური ბალანსი, რომელიც ზედიზედ 12(!) წაგებას მოიცავდა, ასე რომ, მკვდარი მკვდარს აეკიდაო, საფუძვლიანად იტყოდა კაცი, თანაც გერმანული კლუბი აპენინებს 5(!) უგოლო მატჩით ეწვია.

იტალიელთა ქართველი ლიდერი **ხვიჩა კვარაცხელია** სტუმრებმა თავიდანვე წნეხში მოაქციეს, თუმცა შესვენების შემდეგ იგი რამდენჯერმე სახიფათოდ მაინც დაემუქრა მათ კარს, მაგრამ უშედეგოდ – 1:1. აკი, აღნიშნა კიდეც ბრძოლის შემდეგ ბონუჩიმ – კვარას უკეთესად შეეძლო თამაშიო.

ასეა თუ ისე, გაუთვალისწინებლად დაკარგული ქულების მიუხედავად რუდი გარსიას გუნდმა კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა უახლოეს მდევარ ბრაგასთან, რადგან პორტუგალიელებს ძვირად დაუჯდათ მადრიდში ფავორიტ რეალთან დებიუტშივე გამოუყენებელი პენალტი და საბოლოოდ 0:3 დამარცხდნენ.

სატურნირო მდგომარეობა 4 ტურის შემდეგ: რეალი – 12, ნაპოლი – 7, ბრაგა – 3, უნიონი – 1 ქულა.

28 ნოემბერს ითამაშებენ: ნაპოლი – ბრაგა, უნიონი – რეალი. როგორც ხედავთ, სერია – ა-ს შარშანდელ ტრიუმფატორს ფრენც ჰყოფნის პლეი-ოფის საგზურის მოსაპოვებლად. მეორე წრის სტარტის მოვლენად იქცა ბაიერნის ინგლისელი ბომბარდირის ჰარი კეინის მიერ შინ მოღონიერებულ გალათასარაისთან შესრულებული დუბლი – 2:1, რითაც ბავარიაში გადასულმა სნაიპერმა პირადი მონაგარი 14 შეხვედრაში გატანილ 19(!) ბურთამდე გაზარდა, აგრეთვე **გიორგი გოჩოლეიშვილის** შედეგიანი გადაცემა შახტარის მიერ სენაციურად მოგებულ მატჩში ბარსელონასთან – 1:0.

ზოგიერთი დანარჩენი შედეგი: სიტი – იანგ ბოიზი 3:0, ზალცბურგი – ინტერი 0:1, კოპენჰაგენი – მანჩესტერი 4:3, მილანი – პსჟ 2:1, პსვ – ლანსი 1:0, სოსიედადი – ბენფიკა 3:0, ატლეტიკო – სელტიკი 6:0, არსენალი – სევილია 2:0, ლაციო – ფეიენოორდი 1:0, დორტმუნდი – ნიუკასლი 2:0.

◎ ოვალური ბურთი

ხვალ ომია!

„შავი ლომი“ 2023 წლის რაგბი ევროპის სუპერთასის მეორე თამაშს 11 ნოემბერს თბილისის დროით 20 საათზე ლისაბონში, „ქარ ჟამორ სთედიუმზე“ პორტუგალიურ „ლუზიტანუშთან“ გამართავს.

ესპანურ „იბერიანსთან“ ბონუსით, 39:19 მოგების შემდეგ „შავი ლომი“ ლისაბონში გაემგზავრა და მომავალი ჯახისთვის ადგილზე ემზადება. „ლუზიტანუში“ პირველ ტურში ისრაელის „თელავივ ჰითს“ დაუხვდა და 23:31 დამარცხდა.

ისე, როგორც „შავი ლომი“ ბორჯღალოსნებისთვის, „ლუზიტანუში“ პორტუგალიის ნაკრების საბაზო გუნდია და ეს მომავალ დაპირისპირებას დამატებით ინტერესს მატებს, რადგან 2023 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს და პორტუგალიის ნაკრებებმა გამარჯვებული ვერ გამოავლინეს.

„შავი ლომი“ „ლუზიტანუშს“ აქამდე ერთხელ, 2022 წლის მაისში, სუპერ თასის პირველი გათამაშების ფინალში შეხვდა და ქართველებმა ლისაბონში 17:14 მოიგეს. მეორე ტურნირის ნახევარფინალში პორტუგალიელები „ჰითთან“ დამარცხდნენ (22:30), რომელსაც მერე თავის მხრივ „შავმა ლომმა“ 29:17 სძლია.

◎ კორტზე

ჯოკოვიჩის კოლექცია



რაც დრო გადის, ნოვაკ ჯოკოვიჩი სულ უფრო მრისხანე ხდება და ტურნირს ტურნირზე იგებს, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც კორტზე აღარ და ვეღარ გამოდიან მისი მთავარი კონკურენტები როჯერ ფედერერი (კარიერა დაასრულა), რაფაელ ნადალი და ჯონ მარეი (ტრავმებისა და გაჭიანურებული მკურნალობის გამო).

ამ დღეებში სერბმა ვირტუოზმა საფრანგეთში გაიმარჯვა, სადაც პარიზის მასტერსის ფინალში ბულგარელი გრიგორ დიმიტროვი ორ პარტიაში უპრობლემოდ დაამარცხა – 6:4 (ბრეიკით) და 6:3 (მეტოქის ჩაწოდების ორჯერ აღებით).

მომავალ კვირაში საჩოგბურთო ელიტა ნოლეს თავკაცობით იტალიურ ტურინში სეზონის შემაჯამებელ ტურნირზე შეიკრიბება.

შეხვედრა მომავალ არქიტექტორ-რესტავრატორებთან

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი სსიპ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში პირველი კურსის იმ ორმოცამდე სტუდენტს შეხვდა, რომლებიც არქიტექტორ-რესტავრატორისა და კულტურული ფასეულობების რესტავრატორის პროფესიას უნდა დაეუფლონ.

სტუდენტებთან საუბრის თემა შეეხებოდა ფაკულტეტზე სასწავლო პროცესს, რესტავრაციის მიმართულების ცალკე ფაკულტეტად ჩამოყალიბებას, მნიშვნელობას სახელოვნებო სფეროს განვითარებისთვის, პროფესიის პოპულარიზაციისა და სფეროს ახალი კადრებით, ახალგაზრდებით, გამდიდრების საკითხს.

შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სტუდენტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ეროვნულ მუზეუმში სტაჟირების შეთავაზება და მათი მომავალი დასაქმების პერსპექტივის შესახებ საუბარი. კერძოდ, სტაჟიორები მონაწილეობას მიიღებენ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებში, ასევე, საპროექტო დოკუმენტაციების განხილვაში. სტაჟირების პროგრამა ორი მიმართულებით წარიმართება – ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციისა (კედლისა და დაზგური მხატვრობის, არქეოლოგიური არტეფაქტების რესტავრაცია) და არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციის მიმართულებით.

შეხვედრაზე სტუდენტებს საჩუქრად გადაეცათ ვახტანგ ცინცაძის წიგნი ძველი თბილისის ხუროთმოძღვრების შესახებ, რომელიც კულტურის სამინისტროს დაფინანსებით ქართულ ენაზე ითარგმნა და 2022 წელს გამოიცა.

დავგმოთ, რაც დასაგმობია!

დღევანდელი საქართველო, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა სავალალო მდგომარეობაშია – ურთიერთდაპირისპირება, შური, რაც ხშირად ზიზღში გადადის, მიუღებელია ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის.

ამქვეყნიურ სიამეთ – პირადი კეთილდღეობა, სიმდიდრე და სხვა უამრავი მიწიერი ბედნიერება, თუ სულიერება არ ახლავს ამ ყოველივეს, „ამაოებაა ამაოებათა შორის...“ მარადიულ ცხოვრებაშიც კი დახშულია სასუფევლის კარი მავანთათვის. უფალი უდიდესი მიმტევებელია, თუ დროზე მოინანიებ და აღიარებ და ეზიარები, უფალი მოგიტევებს. არის ასეთი ლოცვა: „უფალო, დიდება შენდა, ღმერთო ჩემო, მოვლენილი მწუხარებისათვის, ამას ჩემი ცოდვებით ვიმსახურებ. მომიხსენე მე სასუფეველსა ჩემსა.“ ვილოცოთ აუჩქარებლად, ვიდრე არ ვიგრძნობთ, რომ სული დამშვიდდა და დაწყნარდა – გვასწავლის ეკლესიის გამოჩენილი წმინდა მამა ეგნატე ბრიანჩინოვი.



გურამ საღარაძე,
ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების ეკლესიის სტიქაროსანი.

მინისტრი მასწავლებლებს ხვდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **გიორგი ამილახვარმა** მასწავლებლებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა.

„შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და მასწავლებლებს შესაძლებლობა მიეცათ, მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია უშუალოდ მინისტრისგან მიეღოთ.

შეხვედრის ფარგლებში საუბარი შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, კარიერული წინსვლის ხელშეწყობა, მათი სახელფასო პოლიტიკის გაუმჯობესება და სხვა“.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ამილახვარის ინიციატივით მასწავლებლებთან შეხვედრები მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგრძელდება, რათა პედაგოგთა წინაშე არსებულ პრობლემებზე მოხდეს დროული რეაგირება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა.

„დემეს“ თაღლით წარმომადგენელს ბრალი წაუყენეს

საქართველოს პროკურატურამ, ავეჯის დამამზადებელი კომპანია შპს „დემეს“ წარმომადგენელს, მომხმარებელთა დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ბრალდება წარუდგინა. გამოძიებით დადგენილია, რომ კომპანია „დემეს“ წარმომადგენელმა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მოქალაქეთა თანხების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სოციალურ ქსელში ყალბი რეკლამები განათავსა.

ბრალდებულმა 2021-2022 წლებში, ავეჯის დამზადების მსურველი მოქალაქეები აღნიშნული რეკლამებით მიიზიდა და შესაბამისი ავეჯის დამზადების სანაცვლოდ, დაზარალებულებს ანგარიშზე თანხები წინასწარ ჩაარიცხვინა. ამ გზით, ბრალდებულმა ჯამში მოტყუებით 464.687 ლარი მიიღო, რის შემდეგაც მიიმალა.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ ბრალდებულს აღმკვეთი ღონისძიების სახით – პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. ბრალდებულის მიმართ გამოცხადებულია ძებნა და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები მისი ადგილსამყოფლის დადგენისა და დაკავების მიზნით.

გამოვლენილია ტრანსნაციონალური დანაშაული

საქართველოს პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაული გამოავლინა და ფულის გათეთრების ბრალდებით, სამი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.

„ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ უცხოური კომპანია „PROCTER AND GAMBLE“-ს ელექტრონულ ფოსტაზე, ბრალდებულებმა პარტნიორი საწარმოს წარმომადგენლის სახელით ყალბი შეტყობინება გაგზავნეს და შედეგად, დაზარალებულ კომპანიას ჯამში 333 132 ევრო საქართველოში, მათ მიერ დაფუძნებული ფიქტიური საწარმოს საბანკო ანგარიშზე მოტყუებით ჩაარიცხვინეს. აღნიშნული თანხა ფულის გათეთრების მიზნით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა საზღვარგარეთ დანაწევრებით გადარიცხეს, რითიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინეს.

ორ ფიზიკურ და ერთ იურიდიულ პირს ბრალდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო იურიდიულ პირთან მიმართებით – ლიკვიდაციას ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას და ჯარიმას ითვალისწინებს“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე, ბრალდებული ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საფრანგეთის რესპუბლიკაში მიმდინარეობს.

შეტყობინება

(ტენდერის No. SRAMP/G/ICB-02; DEP230000030)

პროექტის დასახელება: შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP) - 149953 ქვეყანა: საქართველო

პროექტის განმახორციელებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ტენდერის **N:** SRAMP/G/ICB-02; DEP230000030

კონტრაქტის დასახელება: კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა RAMS-ის გასაუმჯობესებლად კონტრაქტის ხანგრძლივობა: 5 თვე

დისკვალიფიცირებული მონაწილე:
დასახელება: **IT TECH LLC** სატენდერო განცხადებაში დაფიქსირებული ფასი: 480,368.00 ლარი

დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო დოკუმენტაციის 18.1 და 19.1 მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობა.

დისკვალიფიცირებული მონაწილე:
დასახელება: **ITERRA LLC** სატენდერო განცხადებაში დაფიქსირებული ფასი: 527,668.00 ლარი.

დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო დოკუმენტაციის 19.1 მუხლის მოთხოვნებთან და მსოფლიო ბანკის შესყიდვების რეგულაციების 2.61 მუხლთან შეუსაბამობა.

გადაწყვეტილება: ყველა წინადადების დისკვალიფიკაცია მსოფლიო ბანკის შესყიდვების რეგულაციების 2.61 მუხლის შესაბამისად.

NOTIFICATION

FOR BID NO. SRAMP/G/ICB-02 (DEP230000030)

Project Name: Secondary Road Asset Management Project (SRAMP) - P149953 **Country**: Georgia
The project implementing Agency: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Bid/Contract Reference No: SRAMP/G/ICB-02; DEP230000030
Scope of Contract: Procurement of Computer Hardware for Enhancing RAMS
Duration of Contract: 5 months
Evaluation Currency: Georgian Lari

Rejected Bidder(s):
Name: **IT TECH LLC**
Bid Price according to the Letter of Bid: GEL 480,368.00

Reason for Rejection: Nonresponsive in accordance with ITB 18.1 and ITB 19.1 of the Bidding Documents.

Rejected Bidder(s):
Name: **ITERRA LLC**
Bid Price according to the Letter of Bid: GEL 527,668.00

Reason for Rejection: Nonresponsive in accordance with ITB 19.1 of the Bidding Documents and paragraph 2.61 of the World Bank's Guidelines.

Decision: Reject All Bids in accordance with paragraph 2.61 of the World Bank's Guidelines.

კორეელები ქართული ღვინით ინტერესდებიან

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოში კორეის რესპუბლიკიდან ღვინის პროფესიონალების ჯგუფი იმყოფება. ღვინის ეროვნული სააგენტოს პრესსამსახურის ინფორმაციით, 12-კაციანი ჯგუფის შემადგენლობაში იმპორტიორები, მედიის წარმომადგენლები და ინფლუენსერები შედიან, რომელთა მხრიდანაც მაღალია ინტერესი, მოიძიონ ახალი სავაჭრო პარტნიორები, დაწერონ სტატიები საქართველოსა და ქართული ღვინის შესახებ, რაც პირდაპირ გავლენას იქონიებს ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდასა და ექსპორტის ზრდაზე კორეის რესპუბლიკის სტრატეგიულ ბაზარზე.

კორეელი პროფესიონალების საქართველოში ვიზიტი ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კორეული მარკეტინგული კომპანიის, Wine21.com-ის ორგანიზებით განხორციელდა.

ვიზიტის ფარგლებში თბილისში გაიმართა დეგუსტაცია (Walkaround Tasting) და კორეელ პროფესიონალებს შესაძლებლობა მიეცათ, გაცნობოდნენ ქართული ღვინის მწარმოებელი 30 კომპანიის პროდუქციას. „საქართველოს ბანკის“ მხარდაჭერით გაიმართა კიდევ ერთი დეგუსტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო 15 ღვინის მწარმოებლის პროდუქცია. ტურის ფარგლებში კორეელი სტუმრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთსა და ქართლში ეწვივნენ, სადაც ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური წესით, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ღვინის სახეობები.

სამხრეთ კორეაში რობოტმა ადამიანი მოკლა!

რობოტმა ადამიანი ყუთისგან ვერ გაარჩია და სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა. კაცმა სახისა და გულ-მკერდის არეში სერიოზული დაზიანებები მიიღო და კლინიკაში გარდაიცვალა.

ამავე ცნობით, როდესაც გეგმური შემოწმებისას რობოტთან ქარხნის თანამშრომელი მივიდა, რობოტმა ისიც ყუთად აღიქვა, დაიჭირა და კონვეიერზე დააგდო.

ქარხნის მფლობელმა კომპანიამ Donggoseong Export Agricultural Complex **უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მზადყოფნა გამოთქვა.**



გლობალური უამინდობა ყველა სეზონის უებრო წამალს ღვინოს გვართმევს!



მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაცია (OIV) წელს ღვინის გლობალური წარმოების ვარდნას პროგნოზირებს. ორგანიზაციაში ვარაუდობენ, რომ მსოფლიოს გარშემო დაფიქსირებული ცუდი ამინდის გამო, შარშანდელთან შედარებით წელს ღვინის წარმოება 7%-ით დაბალი იქნება. ეს კი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 1961 წლის შემდეგ.

OIV-ში ვითარებას კატასტროფულს უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ წელს პლანეტის სხვადასხვა კუთხეში დაფიქსირდა უჩვეულო ყინვა, ძლიერი წვიმა და გვალვა, რამაც მოსავლის რაოდენობაზე იმოქმედა. მათივე ცნობით, **ღვინის წარმოება შემცირდა ევროკავშირის თითქმის ყველა სახელმწიფოში, ეს კი მსოფლიოს მწარმოებელთა 60%-ია. მშრალი ამინდის გამო 14%-ით არის შემცირებული მოსავალი ესპანეთში, 12 %-ით კი – იტალიაში.**

საფრანგეთში მოსავლის რაოდენობის შენარჩუნება შეძლეს, რის გამოც ამ ქვეყანამ იტალიას ღვინის უმსხვილესი მწარმოებელი სახელმწიფოს ტიტული ჩამოართვა. OIV-ში ასევე აღნიშნავენ, რომ სამხრეთ ნახევარსფეროში მოსავლის რაოდენობა 20%-ით დაეცა, თუმცა აშშ-ში ეს მაჩვენებელი შარშანდელთან შედარებით 12%-ით გაიზარდა. წელს ყურძნის მოსავალი საქართველოშიც საგრძნობლად შემცირდა!

„პიკასოს საყვარელი ქალი“ 139 მილიონად „გაიყიდა“

ესპანელი მხატვრის, პაბლო პიკასოს ნახატი „ქალი საათით“ Sotheby's-ის აუქციონზე 139,364 მილიონ დოლარად გაიყიდა. ეს პიკასოს ნახატებს შორის მეორე ყველაზე ძვირადღირებული ნახატია.



ნახატის სასტარტო ფასი 120 მილიონი დოლარი იყო. ის შესრულებულია ზეთით ტილოზე 1932 წელს. ნახატზე წარმოდგენილია მხატვრის საყვარელი ქალი, ფრანგი მოდელი მარიტერეზ ვალტერი. 17 წლის პიკასომ ის პარიზში 1927 წელს გაიცნო. პიკასოს ყველაზე ძვირადღირებულ ნახატად კვლავ რჩება „ვერსია ო“ „ალჟირელი ქალების“ სერიიდან, რომელიც 2015 წელს Christie'-ის აუქციონზე 179 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ამერიკასა და სიცილიაში მაფიოზებს დაერივნენ

აშშ-სა და იტალიაში „გამმინოს“ კრიმინალური კლანის წევრობის ბრალდებით 16 ადამიანი დააკავეს, – ამის შესახებ BBC აშშ-ის პროკურატურაზე დაყრდნობით იტყობინება.

დაკავებულებს ბრალად ედებათ თანხების გამოძალვა, რეკეტი, მოწმეების დევნა, შეთქმულება და თაღლითობა. 10 ადამიანი ნიუ-იორკში, 6 კი სიცილიაზე, პალერმოში დააკავეს. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ცნობით, კიდევ ერთ ადამიანზე ძებნა გამოცხადდა.

დაკავებულებს შორისაა „გამმინოს კლანის“ ე.წ. კაპიტანი ჯოზეფ „ჯო ბრუკლინ“ ლანი. „გამმინოს კლანი“ ნიუ-იორკის ხუთ ყველაზე გავლენიან მაფიოზურ ორგანიზაციას შორისაა. დაკავებულებს 20-დან 180 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ბაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

დაისვენეთ ჰარი პოტერის სამყაროში

Airbnb-ზე „ჰარი პოტერის“ პერსონაჟის, რუბეუს ჰაგრიდის ქოხის ასლის დაქირავება გახდა შესაძლებელი. სახლი ინგლისის აღმოსავლეთით, სოფელ ლივერტონთან მდებარეობს. ტერიტორიაზე სხვა შენობებიც ქირავდება, თუმცა ჯოან როულინგის სამყაროსთან, მხოლოდ ეს სახლია დაკავშირებული.

ქირის ფასი თარიღზეა დამოკიდებული. მაგალითად, 2024 წლის სექტემბერში სახლში ერთი ღამის გატარება $283 დაგიჯდებათ, დეკემბერში კი $294. მსურველებს 6 კაცზე გათვლილი კოტეჯი უმასპინძლებთ, სასტუმრო ოთახით, საძინებლით, სააბაზანოთა და სამზარეულოთი. ქოხში ასევე არის ბუხარი, WiFi, აბაზანა კი სპილენძისგან არის დამზადებული.



გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 13 ნოემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7048; ევრო - 2.8914;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3237;
100 რუბლი - 2.9341; თურქული ლირა - 0.0948;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5911;
1000 სომხური დრამი - 6.7367

ამინდი 10 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+15
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+16
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge